



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება № 8-14

„ 16 „ სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის №5-5 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის „დ“ პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქ.თბილისის საკრებულომ გადაწყვიტა: შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის საკრებულოს 2014 წლის 7 მარტის №5-5 გადაწყვეტილებაში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით. ცნობად იქნეს მიღებული დანართი 1. „პროგრამული ბიუჯეტის შესახებ“, დანართი 2. „კაპიტალური ბიუჯეტის შესახებ“, დანართი 3. „სხვა ხარჯების შესახებ“ და დანართი 4. „ინფორმაცია პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ“

თავი I

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ათას ლარებში

№	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
1	შემოსულობები	689 305,0	704 000,7	722 024,6
	შემოსავლები	655 356,8	667 320,7	661 193,0
	არაფინანსური აქტივების კლება	32 273,1	35 000,0	17 732,0
	ფინანსური აქტივების კლება (საშთის გამოკლებით)	1 675,1	1 680,0	13 075,0
	ვალდებულებების ზრდა	-	-	30 024,6

2	გადასახდელები	656 539,2	740 000,7	772 424,6
	ხარჯები	436 399,3	648 462,4	622 852,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	133 488,3	83 039,6	137 582,3
	ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	1 809,3	946,0	4 700,0
	ვალდებულებების კლება	84 842,3	7 552,8	7 290,4
3	ნაშთის ცვლილება	- 32 765,8	36 000,0	50 400,0

მუხლი 2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი
განისაზღვროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი
თანდართული რედაქციით

#	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
1	შემოსავლები	655 356,8	667 320,7	661 193,0
	გადასახადები	118 446,0	118 000,0	127 700,0
	გრანტები	445 368,6	448 341,7	398 232,9
	სხვა შემოსავლები	91 542,1	100 979,0	135 260,1
2	ხარჯები	436 399,3	648 462,4	622 852,0
	შრომის ანაზღაურება	28 562,1	47 499,2	47 731,0
	საქონელი და მომსახურება	100 040,8	124 401,3	156 707,0
	პროცენტი	1 349,3	1 210,0	1 388,6
	სუბსიდიები	54 218,4	81 315,9	98 640,9
	გრანტები	875,0	-	-
	სოციალური უზრუნველყოფა	96 330,2	163 503,1	198 942,4
	სხვა ხარჯები	155 023,5	230 532,8	119 442,1
3	საოპერაციო სალდო	218 957,5	18 858,3	38 341,0
4	არაფინანსური აქტივების ცვლილება	101 215,2	48 039,6	119 850,3
4.1	ზრდა	133 488,3	83 039,6	137 582,3
4.2	კლება	32 273,1	35 000,0	17 732,0
5	მთლიანი სალდო	117 742,2	- 29 181,3	- 81 509,2
6	ფინანსური აქტივების ცვლილება	32 900,0	- 36 734,0	- 58 775,0
6.1	ზრდა	34 575,1	946,0	4 700,0

6.2	კლება	1 675,1	37 680,0	63 475,0
6.21	ვალუტა და დეპოზიტები	1 091,6	37 180,0	61 975,0
	აქციები და სხვა კაპიტალი	81,3	-	1 000,0
6.22	სესხები	491,0	500,0	500,0
6.23	სხვა დებიტორული დავალიანებები	11,2	-	-
7	ვალდებულებების ცვლილება	- 84 842,3	- 7 552,8	22 734,2
7.1	ზრდა	-	-	30 024,6
	საშინაო			30 024,6
7.2	კლება	84 842,3	7 552,8	7 290,4
	საგარეო	4 535,5	6 991,4	6 890,4
	საშინაო	80 306,8	561,4	400,0
8	ბალანსი	0,0	0,0	0,0

თავი II

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 661,193,0 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

შემოსულობების კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
1	შემოსავლები	655 356,8	667 320,7	661 193,0
11	გადასახადები	118 446,0	118 000,0	127 700,0
13	გრანტები	445 368,6	448 341,7	398 232,9
14	სხვა შემოსავლები	91 542,1	100 979,0	135 260,1

მუხლი 4. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 127,700.0 ათასი ლარის ოდენობით

შემოსულობების კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
11	გადასახადები	118 446,0	118 000,0	127 700,0
113111	საწარმოთა ქონებაზე გადასახადი	92 516,8	94 000,0	100 200,0
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი	10 771,4	10 000,0	13 000,0
113114	მიწაზე ქონების გადასახადი	14 862,3	14 000,0	14 500,0
1136	სხვა გადასახადები ქონებაზე	139,9	-	-
116	სხვა გადასახადები	155,6	-	-

მუხლი 5. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 398,232.9 ათასი ლარის ოდენობით

შემოსულობების კოდი	დასახელება	2012 წლის გეგმა	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
13	გრანტები	445 368,6	448 341,7	398 232,9
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	308,6	220,0	132,9
133	სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები, მათ შორის	445 060,0	448 121,7	398 100,0
1331	გათანაბრებითი ტრანსფერი	418 444,9	447 616,0	397 700,0
1332	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1 730,0	400,0	400,0

1333	სპეციალური ტრანსფერი	24 885,1	105,7	-
13331	ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	24 825,1	0,0	-
13333	საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი თანხები	60,0	105,7	-
1334	სხვა არაკლასიფიცირებული გრანტები	0,0	0,0	-

მუხლი 6. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 135,260.1 ათასი ლარის ოდენობით

შემოსულობების კოდი	დასახელება	2011 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
14	სხვა შემოსავლები	91 542,1	100 979,0	135 260,1
141	შემოსავლები საკუთრებიდან	21 835,8	17 939,0	20 338,0
1411	პროცენტები	8 638,4	9 239,0	6 931,0
1412	დივიდენდები	1 421,8	1 100,0	350,0
1415	რენტა	11 775,6	7 600,0	13 057,0
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	940,1	900,0	900,0
14154	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქრაფნობა და სხვა) გადაცემიდან	10 835,6	6 700,0	12 157,0
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	43 386,5	56 540,0	84 522,1
1422	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	41 836,2	55 190,0	83 022,1

14223	ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებლები, მათ შორის	1 126,2	940,0	1 567,1
1422312	მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის	854,1	700,0	1 117,1
1422399	სხვა არაკლასიფიცირებული სანებართვო მოსაკრებელი	272,2	240,0	450,0
14227	სახელმწიფო ბაჟი	6,3	10,0	10,0
14229	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	4,9	5,0	5,0
142212	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	103,8	90,0	90,0
142213	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	38 140,0	38 000,0	40 000,0
142214	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	679,0	14 400,0	37 000,0
142216	მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	1 563,6	1 745,0	4 200,0
142299	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	212,3	-	150,0
1423	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1 550,4	1 350,0	1 500,0
14232	შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	1 550,4	1 350,0	1 500,0
143	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	20 484,0	21 500,0	24 000,0
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	5 835,8	5 000,0	6 400,0
1457	მათ შორის, შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	1 474,4	2 000,0	2 000,0
1454	ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი	1 289,7	1 200,0	1 300,0
1459	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	3 071,8	1 800,0	3 100,0

თავი III

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 119,850,3 ათასი ლარის ოდენობით

ა) განისაზღვროს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 137,582,3 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	პროგრამა	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
1.1	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შეკეთება	36 413,5	35 088,8
1.2	ტრანსპორტის განვითარება	9 250,0	12 618,6
2.1	საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია	11 632,8	13 021,3
2.2	ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება		13 365,4
2.3	საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები	200,0	700,0
2.4	ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე	-	800,0
2.5	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	430,3	700,0
2.7	ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები	72,7	-
2.8	მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაციის ღონისძიებები	-	660,0
2.9	კეთილმოწყობის ღონისძიებები	5 162,8	3 730,0
2.10	ქალაქის განვითარების ხელშეწყობა		35 250,0
3.1	გამწვანების ღონისძიებები	5 535,4	4 450,9
3.2	დასუფთავების ღონისძიებები		2 000,0
4.2	თბილისი – შეხვედრების და შესაძლებლობების ქალაქი	54,8	-
4.3	თბილისის განვითარების სტრატეგია და კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმარება		24,0
4.7	მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა	50,0	-

4.8	ერთად ვაკეთოთ საქმე თბილისისთვის	-	67,0
6.1	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	3 610,0	-
6.2	სოციალური დაცვის პროგრამა	25,3	45,0
8.6	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	719,3	3 000,0
8.7	თბილისი - 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებები	-	6 800,0
9.1	საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვა	4 754,5	725,5
10.1	ქ. თბილისის საკრებულო	560,8	270,9
10.2	მერიის ადმინისტრაცია	2 643,9	1 765,0
10.13	უსაფრთხოების საქალაქო სამსახური	126,0	-
10.20	ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური	120,0	1 250,0
10.27	გლდანის რაიონის გამგეობა	35,0	35,0
10.28	ნაძალადევის რაიონის გამგეობა	735,3	600,8
10.29	დიდუბის რაიონის გამგეობა	14,5	15,0
10.30	ჩუღურეთის რაიონის გამგეობა	92,3	15,0
10.31	ვაკის რაიონის გამგეობა	12,8	22,0
10.32	საბურთალოს რაიონის გამგეობა	88,7	20,0
10.33	ისნის რაიონის გამგეობა	42,7	25,0
10.34	სამგორის რაიონის გამგეობა	602,0	500,0
10.35	კრწანისის რაიონის გამგეობა	41,1	7,1
10.36	მთაწმინდის რაიონის გამგეობა	13,1	10,0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	83 039,6	137 582,3

ბ) განისაზღვროს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 17,732.0 ათასი ლარის ოდენობით

შემოსულობების კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივების კლება	35 000,0	17 732,0
311	შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	12 100,0	1 500,0

314	შემოსულობა არაწარმოებლური აქტივების (მიწის) გაყიდვიდან	22 900,0	16 232,0
-----	---	----------	----------

მუხლი 8. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ათას ლარებში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	68 807,3	75 828,8	78 409,2
7011	ქ. თბილისის მერიის აღმასრულებელი ორგანოების მმართველობითი ხარჯები	35 457,9	58 175,1	55 819,4
7011	წარმომადგენლობითი ორგანოები	6 131,8	10 320,0	14 174,5
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1 351,2	1 368,3	1 488,6
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	25 866,4	5 965,4	6 926,8
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	18 859,4	22 020,3	22 793,3
7031	პოლიციის სამსახურები	4 603,2	-	
7032	საგანგებო სიტუაციები და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები	14 256,2	22 020,3	22 793,3
704	ეკონომიკური საქმიანობა	119 347,1	124 636,7	95 355,4
7045	ტრანსპორტი (მათ შორის გზები)	110 523,4	122 367,4	92 103,8
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	8 823,7	2 269,3	3 251,6
705	გარემოს დაცვა	14 429,7	55 724,9	65 212,0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება (დასუფთავების ღონისძიებები)	-	39 924,9	50 000,0
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა (გამწვანება)	14 429,7	15 800,0	15 212,0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	181 277,9	170 952,1	157 156,1

7061	ბინათმშენებლობა (საბინაო ფონდის გაუმჯობესებისა და შენახვის უზრუნველყოფა)	44 573,5	28 879,0	54 219,9
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	70 909,4	89 854,3	49 514,3
7064	გარეგანათება	15 568,7	18 114,0	18 700,0
7065	კვლევები და განვითარება საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	27 222,6	2 889,2	4 476,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	23 003,8	31 215,6	30 245,9
707	ჯანმრთელობის დაცვა	26 251,2	27 285,8	26 621,4
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	399,5	398,4	400,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანდაცვის სფეროში	25 851,7	26 887,4	26 221,4
708	დასვენება და კულტურა	33 255,1	52 351,7	59 625,1
7081	მომსახურება სპორტის სფეროში	1 914,1	3 870,0	4 169,4
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	12 787,7	9 443,5	8 923,9
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სპორტისა და კულტურის სფეროში	18 553,3	39 038,2	46 531,8
709	განათლება	33 495,3	61 480,8	81 979,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	27 987,0	55 760,0	76 921,0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	2 209,9	3 242,4	3 230,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	3 298,5	2 478,4	1 828,0
710	სოციალური დაცვა	74 164,6	141 221,0	173 282,7
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	14,0	20,0	33,4
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	19 533,6	67 316,9	74 568,8
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	2 111,3	2 023,1	3 905,5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	52 505,7	71 860,9	94 775,0
	სულ	569 887,5	731 501,9	760 434,2

თავი IV

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო,
ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება
მუხლი 9. ქ.თბილისის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

1. განისაზღვროს ქ.თბილისის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (81,509.2) ათასი ლარის ოდენობით

მუხლი 10. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს ქ.თბილისის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (58,775.0) ათასი ლარის ოდენობით

ა) განისაზღვროს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 4,700.0 ათასი ლარის ოდენობით

ფინანსური აქტივების ზრდა	ათას ლარებში		
	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
	1 809,3	946,0	4 700,0

ბ) განისაზღვროს ქ.თბილისის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 63,475.0 ათასი ლარის ოდენობით

ფინანსური აქტივების კლება	ათას ლარებში		
	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
	1 675,1	37 680,0	63 475,0
ვალუტა დეპოზიტები	1 091,6	37 180,0	61 975,0
აქციები და სხვა კაპიტალი	81,3	-	1 000,0
სესხები	491,0	500,0	500,0
სხვა დებიტორული დავალიანება	11,2	-	-

მუხლი 11. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 22,734.2 ათასი ლარის ოდენობით

ა) განისაზღვროს თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 30024,6 ათასი ლარის ოდენობით

ათას ლარებში

ვალდებულებების ზრდა	2012 წლის გეგმა	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
საშინაო	-	-	30 024,6

განისაზღვროს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 7,290,4 ათასი ლარის ოდენობით

ათას
ლარებში

ვალდებულებების კლება	2012 წლის ფაქტი	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
	84 842,3	7 552,8	7 290,4
საგარეო	4 535,5	6 991,4	6 890,4
საშინაო	80 306,8	561,4	400,0

თავი V

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები,

პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 12. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2014-2017 წლების ძირითადი პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

განისაზღვროს ქ.თბილისის ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები (პროგრამული კლასიფიკაციის პირველი დონე), მათ ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები (მეორე დონე) და ქვეპროგრამები (მესამე და შემდგომი დონეები) შემდეგი რედაქციით:

1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა აღდგენა კვლავ ერთერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება დედაქალაქისათვის. ბოლო წლების განმავლობაში დედაქალაქის გზების მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიუხედავად გზების გარკვეული ნაწილი მოითხოვს

სარეაბილიტაციო, კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთების სამუშაოებს და გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც მოიცავს ქალაქის შუქნიშნების, საგზაო ნიშნების, მონიშვნების, გზაჯვარედინების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელებას, მეტროს სადისპეჩერო სისტემის რეკონსტრუქცია-განახლებას და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციას, გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირებას, საბაგირო ტრანსპორტის განვითარებისა და „დიღმის ჭალების“ ინფრასტრუქტურის მოწყობას.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება

ქალაქის გზებისა და ქუჩების გარკვეული ტექნიკურად მოძველებული ნაწილი ნაკლებად გამტარუნარიანია და საჭიროებს მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას. გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ავტოსატრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას, შემცირდება საცობების რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტექნიკურ მაჩვენებლებზე. პროგრამის მიზანია გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება რაც ხელს შეუწყობს ქუჩებისა და მაგისტრალის განტვირთვას ჭარბი სატრანსპორტო ნაკადებისაგან და ავტოსატრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას. პროგრამა მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს:

1.1.1 გზების მშენებლობა და აღდგენა

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დედაქალაქში გზის საფარის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების და მშენებლობის სამუშაოების ჩატარებას.

1.1.8; 1.1.9; 1.1.10; 1.1.11; 1.1.12; 1.1.13; 1.1.14; 1.1.15; 1.1.16; 1.1.17. გზების მოვლა-შეკეთება ქ.თბილისის რაიონებში

ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელდება რაიონის ტერიტორიაზე დაზიანებული ქუჩების, შიდა კვარტალური გზებისა და შიდა ეზოების მიმდინარე შეკეთება, რომელიც განაპირობებს რაიონში არსებული გზის საფარის დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში შენარჩუნება-გაუმჯობესებას, რის

შედეგადაც უსაფრთხო გახდება ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილება.

1.2 ტრანსპორტის განვითარება

პროგრამის მიზანია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც მოიცავს ქალაქის შუქნიშნების, საგზაო ნიშნების, მონიშვნების, გზაჯვარედინების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელებას. შუქნიშნების მართვის ცენტრის ექსპლუატაციას, ტრანსპორტითა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას. ასევე მეტროს სადისპეჩერო სისტემის რეკონსტრუქცია-განახლებას და საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციას. მგზავრთა გადამყვანი სატრანსპორტო კომპანიის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალის ზრდა.

1.2.1 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები

ქვეპროგრამის მიზანია დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის, ქუჩებსა და მოედნებზე ტრანსპორტით და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების მაქსიმალურად უზრუნველყოფა; მოსახლეობის ინფორმირება სამარშრუტო ხაზზე ავტობუსის მოძრაობის ინტერვალის შესახებ;

ღონისძიებები: საგზაო მოძრაობის ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა; ჰორიზონტალური და ვერტიკალური საგზაო მონიშვნები ერთკომპონენტიანი საღებავით; ჰორიზონტალური საგზაო მონიშვნები თერმოპლასტით და ცივი პლასტით, ძველი საგზაო მონიშვნის წაშლა; სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის იძულებითი შემცირებისათვის „ხელოვნური უსწორმასწოებების“ (ბორცვები) მონტაჟი, ძველის დემონტაჟი; საგზაო ნიშნების შექმნა-მონტაჟი; ავტობუსის გაჩერებებზე ელექტრონული ტაბლოების შექმნა-მონტაჟი; ელექტრონული ტაბლოებისათვის დგარების მონტაჟი; ავტობუსის გაჩერებებზე ელექტრონული ტაბლოების ძაბვის გამანაწილებელ ქსელებზე მიერთების სამუშაოები; გზაჯვარედინების რეორგანიზაციის სამუშაოები; შუქნიშნის ობიექტების რეკონსტრუქცია და მართვის ცენტრთან მიერთება; შუქნიშნის მართვის ცენტრთან შუქნიშნის

ობიექტების მიერთების ექსპერტიზა; შუქნიშნის მართვის ცენტრის ექსპლუატაცია; მიმართულებების წინასწარი მაჩვენებლების შექმნა-მონტაჟი; ლითონის ძელებიანი ზღუდარების დემონტაჟი და მონტაჟი; სფერული სარკეების დემონტაჟი-მონტაჟი და სხვა ღონისძიებები.

1.2.2 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია ქვეპროგრამის მიზანია მეტროს ვაგონებით მგზავრთა კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;

1.2.3 მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია და მშენებლობა

ქვეპროგრამის მიზანია მეტროს მოძველებული სადისპეტჩერო სისტემის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; ახალი სადისპეტჩერო სისტემის მოწყობა, ტექნიკური გადაიარაღება.

1.2.4 ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირება

ქვეპროგრამის მიზანია „ქ. თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე ქ. თბილისის მერიის მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა.

1.2.5 სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია

ქვეპროგრამის მიზანია რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში (მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო), M3 კატეგორიის ავტობუსი) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მომხმარებელთა ეკონომიკური ინტერესების დაცვა, მომხმარებელთათვის რეგულირებადი ტარიფის შენარჩუნება. სატრანსპორტო კომპანიის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად კომპანიის კაპიტალის ზრდა და სხვა ღონისძიებები.

1.2.6 საბაგირო ტრანსპორტის განვითარებისა და „დიღმის ქალების“ ინფრასტრუქტურის მოწყობა

ქ. თბილისის განსაკუთრებულად რთულმა რელიეფმა და დედაქალაქში ტურიზმის განვითარებამ განაპირობა არსებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განახლებისა და ეკოლოგიურად სუფთა საბაგირო ტრანსპორტით თბილისის მოქალაქეებისა და სტუმრების უზრუნველყოფის აუცილებლობა. პროგრამა ითვალისწინებს ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზების მშენებლობას, რაც ხელს

შეუწყობს მოსახლეობის სწრაფ გადაადგილებას და სატრანსპორტო ნაკადების განტვირთვას, ხმაურის, გამონახოლქვის და გადაადგილებასთან დაკავშირებული დროისა და ხარჯების შემცირებას. დიდმის ჭალების ინფრასტრუქტურის მოწყობას.

2. ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება

მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ძირითად პირობად დღეისათვის კვლავ რჩება საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. დედაქალაქში ამჟამად აღრიცხვაზეა მრავალი ავარიული საცხოვრებელი სახლი, რაც სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით რეალურ საფრთხეს უქმნის მობინადრეთა სიცოცხლეს. გარდა ამისა, დედაქალაქში ამჟამად მრავლად არის მეწყერსაშიში ფერდობები და უბნები, დაზიანებული ნაგებობები, ამორტიზებული საინჟინრო კომუნიკაციები. ამ მიზნით გათვალისწინებულია ქ.თბილისში საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მშენებლობა და აღდგენა – რეკონსტრუქცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება. გარდა ამისა პრიორიტეტი ითვალისწინებს ეკონომიკის ცალკეული სექტორების მხარდაჭერას ერთობლივი პროექტების განხორციელებით, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაციას, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობას, სხვადასხვა კეთილმოწყობის ღონისძიებების ჩატარებას, ქალაქგაფორმებით ღონისძიებებს, მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობას და რეაბილიტაციის სამუშაოებს, ქალაქის ინფრასტრუქტურის (მ.შ. მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის) რეაბილიტაცია და მშენებლობას.

2.1 საინჟინრო ნაგებობებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია

პროგრამა ითვალისწინებს საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების (კომუნიკაციები, საყრდენი კედლები, ხიდები და გვირაბები) მოწესრიგებას. მიუსაფართა თავშესაფრის მშენებლობა. დედაქალაქში ამჟამად მრავლად არის მეწყერსაშიში ფერდობები და უბნები, დაზიანებული ნაგებობები,

ამორტიზებული საინჟინრო კომუნიკაციები. დაგეგმილია თბილისში საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, აღდგენა – რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, სადრენაჟე სისტემების მოწესრიგება, მათ შორის დიდი ხეივნის დასახლებაში სადრენაჟე სისტემის პროექტირება-მოწყობა. რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.

2.2 ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება

პროგრამა ითვალისწინებს საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. დედაქალაქში ამჟამად აღრიცხვაზეა მრავალი ავარიული საცხოვრებელი სახლი, სხვადასხვა ფაქტორები (მ.შ. სტიქიური მოვლენები) რეალურ საფრთხეს უქმნის მობინადრეთა სიცოცხლეს. ამისათვის დაგეგმილია თბილისში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული საცხოვრებელი სახლების შემცირებას, ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების დაცვას.

საქართველოში საბჭოთა წყობის ნგრევის შედეგად, ქ.თბილისის ბინათმშენებლობაში ბევრი სამართლებრივად დაურეგულირებელი საკითხი წარმოიშვა, რამაც თბილისის მოქალაქეების ინტერესები დააზიანა. სახელმწიფოს მიერ წარმოებული ბინების მშენებლობის რიგში მყოფი მოქალაქეები ყოველგვარი გარანტიების გარეშე აღმოჩნდნენ. ამას გარდა დიდი ხნის განმავლობაში დაუმთავრებელი შენობები ხშირ შემთხვევაში ვეღარ აკმაყოფილებს ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 9 ოქტომბრის #983 დადგენილებით სახელმწიფომ კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრების წინაშე იკისრა საბჭოთა კავშირის დროს არსებული კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრთა დაკმაყოფილება საცხოვრებელი ბინებით, რაც ვერ განხორციელდა ქვეყანაში დაწყებული ინფლაციის და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობების გამო. 2004 წლის 15 ნოემბერს საქართველოს მთავრობის დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საბინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი კომისია, რომელსაც ერთ-ერთ საკითხად კოოპერატიულ

ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული სახელმწიფოს ვალდებულებების გასტუმრების მიზნით რეკომენდაციები უნდა შეემუშავებინა საქართველოს მთავრობისა და პარლამენტისთვის. პარალელურად, ქ.თბილისის 2005 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო კოოპერატიული ბინათმესაკუთრეთა ნაწილისათვის კორპუსების მშენებლობის დაფინანსება, რომლის მხოლოდ 7 % შესრულდა, ხოლო დანარჩენ ნაწილზე უარი ითქვა კომისიის მიერ რეკომენდაციების შემუშავებამდე. პროექტი განხორციელდება შიდა ვალის შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის თანხმობის შემთხვევაში.

2.3 საპროექტო-სადიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები

სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად, სამშენებლო-სამონტაჟო და აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელია შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა ტექნიკური პირობების მოთხოვნები. პროგრამა ითვალისწინებს ქ. თბილისში სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სადიებო სამუშაოების ჩატარებას, პროექტების ექსპერტიზას და მშენებლობისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას. პროექტის მიზანია სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საპროექტო დოკუმენტაციით.

2.4 ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე

დღეისათვის უაღრესად აქტუალურია დედაქალაქის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ძველი თბილისის ტერიტორიების განვითარება და ეკონომიკის ცალკეული სექტორების მხარდაჭერა ერთობლივი პროექტების განხორციელებით. ქ. თბილისის მერია შეისყიდის პროექტში მონაწილე სამშენებლო კომპანიების მიერ გამოთავისუფლებულ მიწებს.

2.5 გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია

პროგრამის მიზანია ქალაქში განათებული ქუჩების და მხატვრულად მინათებული შენობა-ნაგებობების რაოდენობისა და განათების ინტენსიობის გაზრდა. პროგრამა ითვალისწინებს ქ.თბილისის ქუჩების, მოედნების, მაგისტრალების, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტალების, ბაღ-სკვერების, ხიდების,

გზატკეცილების გარე განათების არსებული ქსელის განათებასა და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას. გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და სწორ ექსპლოატაციას. ქალაქის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მოხდება: გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა; გარე განათებისა და სკვერების განათების ბოძების დიზაინის გაუმჯობესება. ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარება. გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია-განვითარება.

2.6 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა

ქალაქის კომუნალური მეურნეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას, ხოლო ქსელების ნაწილი სარეკონსტრუქციოა, კვეთის სიმცირის გამო. პროგრამა ითვალისწინებს ქ. თბილისის ქუჩების სანიაღვრე ქსელების მოვლა-პატრონობას (ექსპლოატაცია), მიმდინარე შეკეთებას, სანიაღვრე კოლექტორების, წვიმმომღებების, საკონტროლო ჭების, გვერდმომღებების მოწყობას, კიუვეტების გაწმენდას. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა.

2.7 ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში ხდება დედაქალაქის გაფორმება დღესასწაულებისთვის, ეროვნული და სხვადასხვა ღონისძიებების თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფა. კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის შესაბამისად. პროგრამის მიზანია დედაქალაქის მაღალმხატვრულ დონეზე გაფორმება, სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების მოწყობა.

2.8 მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაციის სამუშაოები

დედაქალაქში არსებული მიწისქვეშა გადასასვლელები თავისი კომუნიკაციებით და მოწყობილობებით რთულ საინჟინრო კომპლექსურ ნაგებობებს წარმოადგენენ. მიწისქვეშა გადასასვლელების ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია დროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთებების განხორციელება. პროგრამის მიზანია მიწისქვეშა გადასასვლელების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთება, ვიდეო კამერების და მონიტორების მონტაჟი, და მიწისქვეშა გადასასვლელების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

2.9 კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის მიზანია დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; დედაქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა; მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

2.9.1 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები

დედაქალაქის საჭიროებებისა და პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია კეთილმოწყობითი ღონისძიებების განხორციელება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; ვაზიანის ქიმიური სამარხის მოვლა-პატრონობა; შადრევან-აუზების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა (ექსპლოატაცია); სამისამართო აბრების შექმნა-მონტაჟი; დახურული ნაგავსაყრელი პოლიგონების დაცვა; დედაქალაქის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა.

2.9.8 მოძრავი ქონების აღრიცხვა და მოვლა-შენახვა

დედაქალაქის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების აღრიცხვა და მოვლა-შენახვა; სასაწყობო მეურნეობის მოვლა-მოწესრიგება და სხვა ღონისძიებები.

2.9.9 უკანონო ნაგებობების დემონტაჟი

უკანონო და უსახური შენობა-ნაგებობების არსებობა ამახინჯებს დედაქალაქის იერსახეს და ზღუდავს საზოგადოებრივი სარგებლობის სივრცეებით სარგებლობას. ამავდროულად თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე განხორციელებული უნებართვო მშენებლობების შედეგად ხდება თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უკანონო ხელყოფა. დაგეგმილია გამოთავისუფლდეს თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უკანონოდ მიტაცებული მიწის ნაკვეთები მასზე არსებული უნებართვო და უსახური შენობა – ნაგებობებისაგან, უკანონო და უსახური კონსტრუქციების დემონტაჟის გზით შენარჩუნდეს და მოწესრიგდეს დედაქალაქის იერსახე და გამოთავისუფლდეს საზოგადოებრივი სარგებლობის სივრცეები უკანონო შეზღუდვებისგან. სხვა უკანონო ქმედებების ზედამხედველობა.

2.9.10; 2.9.11; 2.9.12; 2.9.13; 2.9.14; 2.9.15; 2.9.16; 2.9.17; 2.9.18; 2.9.19.

კეთილმოწყობის ღონისძიებები ქ.თბილისის რაიონებში

ქვეპროგრამების ფარგლებში დაგეგმილია რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები. განხორციელდება არსებული სკვერების, სპორტული მოედნების და კორპუსებიდან სატრანსპორტო კვანძზე ჩამოსასვლელად კიბეების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა, სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების აღდგენა – რეაბილიტაცია, ავარიული და ზეხმელი ხეების გადაბეღვის სამუშაოები, დაზიანებული საყრდენი კედლების აღდგენა და ახლის მოწყობა, რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრების დახმარება. გაზიფიცირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით ქ. თბილისის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწევა თბილისში მცხოვრებ მოსახლეობას და დახმარების გაცემის პირობებს დაადგენს ქ. თბილისის მთავრობა. საცხოვრებელი სახლების და მათი ელემენტების გამაგრება-შეკეთება: აივნები, პარაპეტები, კოლონები, კიბის უჯრედები, სადარბაზოს წინფარები, სახურავები და სხვა ღონისძიებები.

2.10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანია ქ.თბილისის ტერიტორიაზე ისტორიული და სხვა მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-გამაგრების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება; ქალაქის ინფრასტრუქტურის (მ.შ. მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის) რეაბილიტაცია და მშენებლობა; კოლხური კომპის რეაბილიტაცია; ქალაქისთვის მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება. პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოებს განახორციელებს და უხელმძღვანელებს ააიპ "თბილისის განვითარების ფონდი". ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება ააიპ "თბილისის განვითარების ფონდში" შენატანის სახით.

2.13 წმინდა ასი ათასი ქართველი მოწამის სახელობის მეტეხის ხიდის

გაფორმებითი ღონისძიებები

1227 წელს თბილისში ჯალალედინის მიერ ქრისტიანული რწმენისათვის წამებული ასი ათასი ქართველის უკვდავსაყოფად, საკრებულოს გადაწყვეტილებით მეტეხის ხიდს "წმინდა ასი ათასი ქართველი მოწამის სახელობის მეტეხის ხიდი" ეწოდა. ამასთან დაკავშირებით, განხორციელდება აღნიშნული ხიდის გაფორმებითი ღონისძიებები.

3. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

პრიორიტეტის განხორციელებით საგრძნობლად გაუმჯობესდება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა და გარე-იერსახე, მცენარეთა ფიტო-სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობა, ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე საფარის მოვლა-პატრონობა, მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს თბილისის მწვანე საფარი. ახალი სკვერების მოწყობა და არსებულის რეკონსტრუქცია-რესტავრაციით დედაქალაქს შეემატება თანამედროვე ტიპის საერთო სარგებლობის დასასვენებელი კერები. მსოფლიოს და ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვა, როგორც საექსპოზიციო, ასევე საგანმანათლებლო მიზნით ხელს შეუწყობს ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის, როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ

ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბებას. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების ღონისძიებები.

3.1 გამწვანების ღონისძიებები

პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, გარე-იერსახე და ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს თბილისის მწვანე საფარი. ასევე ხორციელდება ფერდობების, ბაღების, სკვერების მოვლა-პატრონობა; მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, ბუჩქები, ხე-მცენარეები); ქ. თბილისის ტერიტორიაზე, მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა (რულონი); ქ.თბილისში, სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება; ხეების მოჭრა-გადაბეღვა და კუნძების ამოღება-გატანა; ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); ზრდასრული ხე-მცენარეების გადარგვა და რეკულტივატორით გადარგული ხე-მცენარეების მორწყვა; სარწყავი ქსელების რეკონსტრუქცია და ახლის მოწყობა; სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია; ქარსაცავი ზოლის აღდგენა-რეაბილიტაცია; საპარკე ფურნიტურის მონტაჟი სარეკრეაციო ზონებში და სხვა ღონისძიებები.

3.2 დასუფთავების ღონისძიებები

ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; თოვლცვენის დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება; ხეების, ფერდობების და მიწისქვეშა გადასასვლელების დაგვა დასუფთავება; საბილინგო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების სანიტარული ნორმების შესაბამისად დეზინფექცია-დერატიზაცია, შეზიდული ნარჩენების აღრიცხვა-კონტროლი და შემდგომში კონსერვაცია; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-პატრონობა, დაცვა; ნარჩენების სრული იზოლირება

მოსახლეობისა და გარემოსაგან; ნაგავსაყრელ პოლიგონზე ახალი უჯრედის მოწყობა. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და სხვა ღონისძიებები.

3.3 თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა

მსოფლიოს და ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვა, როგორც საექსპოზიციო, ასევე საგანმანათლებლო მიზნით ხელს შეუწყობს ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის, როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბებას. პროგრამა მიზნად ისახავს: ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობას და ზოოლოგიური პარკის ბინადართა მოვლა-პატრონობას და განვითარებას; საერთაშორისო სტანდარტების ზოოპარკის და ბოტანიკური ბაღის შექმნას; ვიზიტორების უსაფრთხოებას; იშვიათი, ენდემური და გადაშენების პირას მყოფი ცხოველებისათვის თავშესაფრის უზრუნველყოფას მათი დაცვის, კონსერვაციისა და რეპროდუქციის მიზნით; განათლების სხვადასხვა ასაკობრივი პროგრამების შემუშავებას და საზოგადოებაში სწორი და ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ველური ბუნებისა და გარესამყაროს მიმართ; საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას და გაწევრიანებას, რაც საშუალებას მისცემს ზოოლოგიურ პარკს და ბოტანიკურ ბაღს მიიღოს დროული ინფორმაცია და რჩევები უცხოელი კოლეგებისგან, გააგზავნოს თანამშრომლები სტაჟირებაზე ცოდნისა და გამოცდილების გასაღრმავებლად, გაამდიდროს და გააფართოვოს ცხოველებისა და მცენარეების კოლექცია.

4. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

მდგრადი ეკონომიკური განვითარების და ზრდის მისაღწევად, აუცილებელია ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნას. შესაბამისად, წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვის საფუძველს და ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს; აუცილებელია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიებების გატარება,

რომლებიც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს თბილისში არსებული საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების დემონსტრირებას, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში; თბილისის ცნობადობის ასამაღლებლად ბიზნეს ფორუმების ჩატარება, საერთაშორისო კონფერენციებში, ტურისტულ, უძრავი ქონების და სავაჭრო გამოფენებში მონაწილეობის მიღება; მეწარმეობის განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების განხორციელება; სამოქალაქო სექტორთან და ბიზნესთან თანამშრომლობით სხვადასხვა საქალაქო პროექტების განხორციელება; ქალაქის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სექტორების მხარდაჭერა; თბილისის განვითარების ერთიანი სტრატეგიის შემუშავება; საერთაშორისო ქალაქთა ქსელებსა და მნიშვნელოვან საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა; თბილისის გადაქცევა მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეხვედრებისა და ბიზნესის კეთების საუკეთესო ადგილად, პრიორიტეტის ფარგლებში არსებული პროგრამებისათვის სუვენირებისა და საიმჯო მასალების შექმნა და გავრცელება და ა. შ; თბილისის მოსახლეობის უფასო სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა; თბილისის ბიუჯეტის და მერიის ერთიანი სააღრიცხვო და სახელმწიფო შესყიდვების მოდელის შექმნა, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა და სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება.

4.1 მეწარმეობის მხარდაჭერა

დედაქალაქში მეწარმეობის სხვადასხვა სახეების განვითარება მნიშვნელოვნად განაპირობებს ქალაქის ეკონომიკის განვითარებას, ახალი ტიპის ეკონომიკური აქტივობების გაჩენას ქალაქში. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება აღნიშნული პროგრამა. პროგრამა სხვა ღონისძიებებთან ერთად გულისხმობს: ბიზნეს-კონსულტაციებს; იაფი ფინანსური რესურსისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდას; ინფორმაციების მომზადებას თბილისში არსებული ბიზნეს გარემოსა და სხვადასხვა სფეროებში არსებული მდგომარეობის შესახებ; დახმარებას ბაზრებისა და პარტნიორების მოძიებაში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში მხარდაჭერას და ა.შ. პროგრამის ფარგლებში მოხდება მეწარმეობის ისეთი მიმართულებების მხარდაჭერა, როგორცაა: სოციალური მეწარმეობა, საინფორმაციო-

საკომუნიკაციო ბიზნესი, ტურიზმი და სხვა; აღნიშნულ ღონისძიებებთან ერთად პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისის და მისი უბნების, როგორც სხვადასხვა ბიზნეს აქტივობების განხორციელების ადგილის პოპულარიზაცია: თბილისი - კინოგადაღებების ადგილი, მეწარმეობის წამახალისებელი უბნები და სხვა.

4.3 თბილისის განვითარების სტრატეგია და კაპიტალური ინვესტიციების დაგეგმარება

ქ.თბილისის განვითარების სტრატეგია, როგორც განვითარების ერთიანი სამოქმედო დოკუმენტი მნიშვნელოვანია ქალაქის გრძელვადიანი განვითარებისათვის. თბილისის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი მოითხოვს მუდმივ განახლებას, შესრულების მონიტორინგს და შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებას. ამ პროცესების ხელშესაწყობად მსოფლიო ბანკთან ერთად მუშავდება კაპიტალური დაგეგმვის მეთოდოლოგია და მისი დანერგვისთვის საჭირო ღონისძიებებიც. ამ პროგრამის მიზანია: შესაბამისი აქტების მომზადება ჩამოთვლილი აქტივობების შესასრულებლად, სტრატეგიის განსახორციელებლად საჭირო პროექტების, გეგმებისა და პროგრამების მომზადება, სპეციალური პროგრამის შემუშავება შესრულების ანალიზისა და მონიტორინგისთვის, საზოგადოების შეხვედრების ორგანიზება და ა.შ.

4.4 თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში

ქალაქის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქების საერთაშორისო ქსელში და პროექტებში ჩართულობას, საზღვარგარეთის ქალაქების წარმატებულ გამოცდილებათა გაზიარებას და მათ დანერგვას. თბილისის მერიას, როგორც ევროკავშირის ინიციატივის „მერების შეთანხმება“ წევრს, დაგეგმილი აქვს მთელი რიგი ღონისძიებები და ქმედებები, რომლებიც აღნიშნული შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას უზრუნველყოფს. პროგრამის მიზანია: საერთაშორისო ქალაქთა ქსელებში აქტიური ჩართულობა, ევროპის მთავარ ქალაქთა ქსელის და სხვა საერთაშორისო სამუშაო ჯგუფებში, პროექტებსა და ინიციატივებში მონაწილეობა, ევროპის ღია დღეების, ენერგეტიკის დღეების და სხვა ღონისძიებების მოწყობა; მერების შეთანხმების ყოველწლიურ

კონფერენციებში მონაწილეობა; მერების შეთანხმებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შესრულება.

4.5 მოქალაქეთა უნარ-ჩვევების განვითარება

პროგრამის მიზანია მოქალაქეთა უნარ-ჩვევების ამაღლება თანამედროვე მოთხოვნებისათვის მნიშვნელოვანი მიმართულებებით და მათთვის დღევანდელი დროისთვის აქტუალური ინფორმაციის მიწოდება. პროგრამის ფარგლებში მოხდება ისეთი კურსების ორგანიზება როგორც არის: ინგლისური ენა, კომპიუტერული პროგრამები; მოხელეთა უნარ-ჩვევები, ტურიზმი და სხვა. ასევე განხორციელდება: თბილისის მერიის მოხელეთა განვითარებისთვის საჭირო სხვადასხვა სახის კურსებისა და ტრენინგების, სასწავლო ტურების ორგანიზება; დასაქმებული მასწავლებლების გადამზადება და სხვა. პროგრამები შეიძლება იყოს ორგანიზებული როგორც ონლაინ, შერეული და პირისპირ გაკვეთილები. პროგრამის განსახორციელებლად საჭირო იქნება: პროგრამული უზრუნველყოფა, ლიტერატურა, აღჭურვილობა, ინვენტარი, საკანცელარიო ნივთები და ა.შ.

4.6 თბილისელების ადვოკატი

თბილისის მოსახლეობისათვის უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევა და უფასო სამართლებრივი დახმარებით უზრუნველყოფა ხელს შეუწყობს თბილისის მოსახლეობას საკუთარი უფლებების სამართლებრივ დაცვასა და რეალიზაციას. გათვალისწინებულია თბილისის მოსახლეობის უფასო სამართლებრივი დახმარების უზრუნველყოფა; თბილისის მოსახლეობისათვის უფასო იურიდიული კონსულტაციის გაწევა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში; მცირე და საშუალო მეწარმეთათვის საგადასახადო და სამეწარმეო საკითხებზე უფასო იურიდიული დახმარება.

4.7 მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა

პროგრამის მიზანია თანამედროვე მართვის სტანდარტებსა და კანონმდებლობასთან თავსებადი მართვის მრავალფუნქციური სისტემის დანერგვა, მერიის სისტემაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა, თბილისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობა.

პროგრამაში გათვალისწინებულია თბილისის ბიუჯეტის და მერიის ერთიანი სააღრიცხვო და სახელმწიფო შესყიდვების მოდელის შექმნა, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა და სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება. ქ.თბილისის მერიის საფინანსო სისტემის შეფასება PEFA-ს სტანდარტების შესაბამისად. საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის ღონისძიებები. ბიუჯეტის შედგენის პროცესში მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება.

4.8 ერთად ვაკეთოთ საქმე თბილისისათვის

პროგრამის მიზანია მოსახლეობასთან, სამოქალაქო სექტორთან და ბიზნესთან ერთად ისეთი პროექტების განხორციელება, რომლებიც განაპირობებენ ქალაქის შესაძლებლობათა რეალიზაციას და მისი განვითარების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: თბილისის უბნების განვითარების პროექტების განხორციელება, სხვადასხვა ინიციატივები ხანშიშესული თბილისელებისათვის; თბილისელთა ინფორმაციული უზრუნველყოფა კომუნალური დანახარჯების შემცირების შესაძლებლობებზე, აგრეთვე შესაბამისი აპარატურის შეძენა; აქტივობები თბილისის უმაღლეს სასწავლებლებსა და კვლევით ცენტრებთან ერთად და სხვა. პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება ელექტრონული ბიბლიოთეკისა და ელექტრონული საინფორმაციო-ტურისტული მოწყობილობების დაინსტალირება ქალაქში; აღნიშნული აქტივობების განსახორციელებლად ჩატარდება შეხვედრები, პრიორიტეტის ფარგლებში არსებული პროგრამებისათვის მოხდება სუვენირებისა და საიმიჯო მასალების შესყიდვა და გავრცელება.

5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება

პრიორიტეტი ითვალისწინებს ამხანაგობების გააქტიურებას საკუთარი და მერიის თანამონაწილეობით საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად. დახმარება გაუწიოს მოქალაქეებს საერთო საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების საქმეში. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ძნელია მოქალაქეებმა საკუთარი სახსრებით მიხედონ საერთო სარგებლობის ქონებას. ფინანსური თანადგომით და თანადაფინანსების

პრინციპით განხორციელებული პროექტებით და ღონისძიებებით მერია აქტიურად ეხმარება მოსახლეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს საცხოვრებელი გარემო და ქმნის ხელსაყრელ პირობებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის.

5.1; 5.1.8; 5.1.9; 5.1.10; 5.1.11; 5.1.12; 5.1.13; 5.1.14; 5.1.15; 5.1.16; 5.1.17.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა

ქალაქში დაგროვილი პრობლემების გადასაჭრელად დღეისათვის მეტად აქტუალურია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბება, რომელთა მიზანია პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული პოზიციებიდან, თანადაფინანსების პრინციპით სისტემატიურად განახორციელონ მათთვის საჭირო პროექტები, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მრავალბინიანი კორპუსების ინფრასტრუქტურას და კომუნალურ პირობებს. დედაქალაქში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებისა და მოსახლეობის დახმარების მიზნით, პროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: შენობის სახურავის შეკეთებას (ბრტყელი გადახურვა და ქანობიანი გადახურვა); ლიფტების მიმდინარე შეკეთებას; შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთებას; ბინათმესაკუთრეთა მიერ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე განხორციელებული ე.წ. მიშენების (არა ინდივიდუალური) კონსტრუქციების მდგრადობისა და სეისმომდებლობის განსაზღვრას; სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთებას; ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირებას (წითელ ხაზებში მოქცევა); სადარბაზოების შიდა რემონტს; სადარბაზოს შესასვლელი კარების დამზადება-მონტაჟს; პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაციას; ავარიული შენობების გამაგრებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეების წახალისებას და სხვა ღონისძიებებს.

6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებების ფონზე მოსახლეობის დახმარება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში თბილისისთვის კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად. აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროა სილატაკის

ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამაში დარეგისტრირებულ ოჯახთა (70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამ მიზნით განხორციელდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სხვადასხვა პროგრამები.

6.1 ჯანმრთელობის დაცვა

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო დაზღვევის არმქონე მოსახლეობის ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო პირობების შექმნის მიზნით, განხორციელდება ჯანდაცვის სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება. როგორცაა ონკოლოგიურ დაავადებათა შემცირების მიზნით პრევენციული ღონისძიებები, სასწრაფო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სხვა.

6.1.1 სასწრაფო სამედიცინო დახმარება

მოსახლეობისათვის კრიტიკულ მდგომარეობაში სასწრაფო სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების ხელმისაწვდომი, დროული და ეფექტური მომსახურების უზრუნველყოფა და კონკრეტულ შემთხვევებში სტაციონარში გადაყვანა.

6.1.2 სარძევე ჯირკვლის, საშვილოსნოს ყელის, წინამდებარე ჯირკვლის და სწორი ნაწლავის ავთვისებიანი სიმსივნეების სკრინინგი (გაეროს ფონდის თანადაფინანსება)

ონკოლოგიური დაავადებები გლობალური პრობლემაა და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წამყვანი ადგილი უკავია სიკვდილის გამომწვევ მიზეზთა შორის. მაღალკვალიფიციური და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: სარძევე ჯირკვლის სკრინინგი (ქ. თბილისში მცხოვრები 40-70 წლამდე ასაკის ქალების გამოკვლევები; ამბულატორიულ-ქირურგიული ოპერაციები), საშვილოსნოს ყელის სკრინინგი (ქ. თბილისში მცხოვრები 25-60 წლამდე ასაკის ქალების გამოკვლევები), წინამდებარე ჯირკვლის სკრინინგი

(ქ. თბილისში მცხოვრები 50-70 წლამდე ასაკის მამაკაცების გამოკვლევები), სწორი ნაწლავის სკრინინგი (ქ. თბილისში მცხოვრები 40-70 წლამდე ასაკის მოქალაქეების გამოკვლევები).

6.1.3 გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი

მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით აუცილებლობას წარმოადგენს გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიისა და კონტროლის გაუმჯობესება, დაავადებათა დროული გამოვლენა, პროფილაქტიკური გამოკვლევების დროული ჩატარება ინფექციის წყაროსა და დაავადების გამომწვევი მიზეზების დასადგენად, მათ საწინააღმდეგო სრულყოფილი ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება გადამდებ დაავადებათა რეგისტრაცია, იდენტიფიცირება, ადგილობრივი და შემოტანილი შემთხვევების შესწავლა, დაავადების გამომწვევი მიზეზების დადგენა, დროული ეპიდლონისძიებების გატარება, მ.შ. პროფილაქტიკური აცრებისა და კონტაქტირებულებში ლაბორატორიული კვლევისა და პროფილაქტიკური მკურნალობის ორგანიზება.

6.1.9 ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია

ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ნარკომანიით დაავადებული ბენეფიციართა ჩანაცვლებითი თერაპიით მკურნალობის თანადაფინანსება; ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსიკაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, ასევე მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა.

6.1.10 ნარკომანიით დაავადებულთა ფსიქო-თერაპიული რეაბილიტაცია

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ნარკომანების ფსიქო-თერაპიის კურსის ჩატარებას, რომელიც ხელს შეუწყობს მათ დაბრუნებას ნორმალური ცხოვრების წესთან, ემოციურ, ინტელექტუალურ და სულიერ მდგრადობას, ურთიერთობების აღდგენას ოჯახის წევრებთან და გარემოსთან, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტების კონსულტაცია.

6.1.11 ჰემოფილიით დაავადებულთა მკურნალობა-რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჰემოფილიით დაავადებულ ბენეფიციართა საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურება.

6.2 სოციალური დაცვა

სამედიცინო და პროფილაქტიკური უზრუნველყოფის სფეროში მოსახლეობის ოპტიმალური სოციალურ-ეკონომიკური პირობების შექმნის მიზნით, განხორციელდება სოციალური დაცვის ღონისძიებების დაფინანსება. სხვადასხვა სოციალური დახმარებები გაეწევათ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი მონაცემთა ბაზების შესაბამისად, სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამაში დარეგისტრირებული ოჯახებს (70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახები). სოციალური დახმარებები, მომსახურებები და შეღავათები გაეწევათ სხვა კატეგორიის მოქალაქეებს. სამედიცინო დახმარების დამატებითი კომპონენტის გარეშე სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით დაფინანსების მიღმა დარჩენილი ბენეფიციარებისთვის სრულყოფილი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

6.2.1 კომუნალური ვაუჩერი

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი მონაცემთა ბაზების შესაბამისად, სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამაში დარეგისტრირებულ 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს გამოეყოფა 250 ლარი, რომლითაც ანაზღაურდება კომუნალური მომსახურების ელექტროენერჯის, წყლისა და დასუფთავების ღირებულება სადისტრიბუციო კომპანიების ანგარიშებზე ჩარიცხვის გზით, ასევე შესაძლებელია თანხის ჩარიცხვა მოქალაქეთა პირად ანგარიშებზე, ქ.თბილისის მთავრობის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. ყველა სხვა კატეგორიის ოჯახებზე გამოეყოფა 100 ლარი, რომელიც ჩარიცხება კომუნალური მომსახურების (ელექტროენერჯია, წყალი, დასუფთავება) სადისტრიბუციო კომპანიების ანგარიშებზე.

6.2.2 სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამაში 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის (3 და მეტი ბავშვით), საბანკო პლასტიკურ ბარათზე ყოველთვიურად ერთჯერადი მატერიალური დახმარების დარიცხვა 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით. განცხადების საფუძველზე ანაზღაურებას ექვემდებარება სააგენტოს მიერ გადამოწმების საფუძველზე მონაცემთა ბაზაში ოჯახის არყოფნის პერიოდში მისაღები თანხა, თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა დარჩა 70000 და დაბალი. თანხა დაერიცხება მერიის მიერ შერჩეულ ბანკში უფლებამოსილი პირის სახელზე გახსნილ პირად ანგარიშზე ბანკის მიერ ბენეფიციარებზე გაცემული პლასტიკური ბარათების გათვალისწინებით მოწოდებული რეესტრების შესაბამისად, მათ შორის იმ ბენეფიციარებზე რომლებმაც ბანკიდან დაგვიანებით გაიტანეს პლასტიკური ბარათები.

6.2.3 სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის დაბადებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამაში 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მე-3, მე-4, მე-5 და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების დარიცხვა მე-3 ახალშობილზე - 800 ლარის ოდენობით, მე-4 ახალშობილზე - 1000 ლარის ოდენობით, მე-5 და შემდეგ ახალშობილზე 1500 ლარის ოდენობით. განცხადების საფუძველზე თანხა დაერიცხება იმ შემთხვევაში თუ ოჯახი ბავშვის დაბადების თვეს ფიქსირდება სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შესაბამის თვეში მოწოდებულ მონაცემთა ერთიან ბაზაში.

6.2.4 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია და თბილისში რეგისტრირებული ბავშვებისათვის საზაფხულო კულტურულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მოწყობა

განცხადების საფუძველზე ქ.თბილისში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 20 წლამდე (1994 და შემდგომ წლებში დაბადებული მოზარდები) ასაკის მოზარდთა რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

ნოზოლოგიების მიხედვით კონტიგენტის შერჩევა, განაწილება, ნაკადების დაკომპლექტება და მთისა და ზღვის კურორტების საგზურებით უზრუნველყოფა; პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ აგრეთვე ის 20 წლამდე მოზარდები, რომლებიც არიან: ა) ქ.თბილისის საჯარო სკოლების არათბილისელი მოსწავლეები; ბ) თბილისის სპეციალიზირებული დღის ცენტრების არათბილისელი ბენეფიციარები; დამატებითი საგზურები აგრეთვე გაიცემა შშმ ბავშვის ტყუპისცალზე.

თბილისში რეგისტრირებული 10-დან 15 წლამდე ბავშვების საზაფხულო ბანაკების საგზურებით უზრუნველყოფა. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების შესაბამისად; გაწეული მომსახურების მონიტორინგი.

6.2.5 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება

ქვეპროგრამის მიზანია ხანდაზმული მოქალაქეების პატივისცემა და ღვაწლის დაფასება, მათი თანადგომა და მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება 100 წელს მიღწეულ და გადაცილებულ ხანდაზმულთათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 400 ლარის ოდენობით, ხოლო სოციალურად დაუცველ ხანდაზმულთათვის (70000 და დაბალი სარეიტინგო ქულით) - 600 ლარის ოდენობით. განცხადების საფუძველზე თანხა გაიცემა ყველა იმ ბენეფიციარზე, რომელსაც საბიუჯეტო წლის განმავლობაში შეუსრულდება 100 და მეტი წელი (ბენეფიციარის გარდაცვალების შემთხვევაში ბენეფიციარის კუთვნილი თანხა გადაეცემა მის ოჯახს).

6.2.6 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდების დაფინანსება

პროგრამა მიზნად ისახავს სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამაში 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებული ოჯახებისათვის:

2013-2014, 2014-2015 სასწავლო წლებისათვის თბილისის ავტორიზირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიური განათლების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, სწავლების ერთი დამატებითი სემესტრი) საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლების ღირებულების 50%-ის (არაუმეტეს უმაღლესი სახელმწიფო გრანტის ოდენობის ¼-სა სემესტრში) დარიცხვა საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო ანგარიშებზე სემესტრების მიხედვით. 70% გრანტის შემთხვევაში მოხდება დარჩენილი 30%-ის შევსება სახელმწიფო გრანტის სრულ ოდენობამდე

თანხის ანაზღაურება მოხდება:

1. სტუდენტის მიერ საბიუჯეტო წელს შემოტანილი განცხადებით მომართვის საფუძველზე;
2. განცხადების შემოტანის თვეში ან მიმდინარე სემესტრის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შესაბამისად სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებულ მონაცემთა ბაზაში დაფიქსირების შემთხვევაში.
3. გამონაკლისის სახით წინა სასწავლო წლის პირველი სემესტრის განცხადებები, რომელთა განცხადებების გახილვა არ მოხდა ტექნიკური მიზეზის გამო და რომელთა თანადაფინანსების საკითხი განიხილება და გადაწყდება ინდივიდუალურად.

18 წლამდე ასაკის ბავშვთა სწავლების ღირებულების ანაზღაურება მერიის მიერ დაფუძნებული სამუსიკო სკოლების და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრების და სპორტული სკოლების მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

1. სწავლების დაფინანსება ერთი ბენეფიციარისათვის მოხდება ბენეფიციარის მიერ სამი სხვადასხვა სახეობიდან თითო-თითოს შერჩევის უფლებით.

2. ხელოვნების და სამუსიკო სკოლებში მოსწავლეთა მიღება განხორციელდება ერთხელ-სექტემბერში, ან ორჯერ (სასწავლო პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე). სწავლება 10 თვე;

3. სპორტულ სკოლაში მოსწავლეთა მიღება განხორციელდება წლის განმავლობაში ორჯერ – იანვარსა და სექტემბერში. სწავლება 10 თვე.

მეტროთი და ავტოტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობით სარგებლობის უკონტაქტო პლასტიკური ბარათების შესყიდვა, ინიციალიზაცია, ბენეფიციართათვის პლასტიკური ბარათების გაცემის სერვის ცენტრისათვის საბეჭდი მოწყობილობების, კარტრიჯებისა და საწმენდი მასალის შესყიდვა, სერვისცენტრის თნამშრომელთა შრომის ანაზღაურება და სხვა ღონისძიებები.

6.2.7 სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის დაფინანსება

განხორციელდება სოციალურად დაუცველი და უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის სარიტუალო მომსახურება. პროზექტურებში განთავსებული უპატრონო მიცვალებულებისათვის სარიტუალო მომსახურების გაწევა, კერძოდ: სანიტრის მომსახურება, სუდარის დამზადება, მოზრდილი უზედამხედველო მიცვალებულისათვის ლითონის ფირფიტის დამზადება, კატაფალკის მომსახურება, სამარხზე მომსახურება (სამარის გათხრა ჩასვენება, სამარის ამოვსება, ბორცვის მოწყობა). სოციალურად დაუცველი (70000 და დაბალი სარეიტინგო ქულით) გარდაცვლილი მოქალაქეების დაკრძალვა თბილისის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოზე. მომსახურება მოიცავს სამარის გათხრას, ჩასვენებას, სამარის ამოვსებას, ბორცვის მოწყობას.

6.2.8 ყრუ ინვალიდთათვის თარჯიმან-დაქტილოლოგების მომსახურებით უზრუნველყოფა

ყრუ და სმენადაქვეითებული მოქალაქეების სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაცია. განხორციელდება პროგრამის კოორდინატორის, თარჯიმნებისა და სოციალური მუშაკების ხელფასის, საკანცელარიო და საკომუნიკაციო ხარჯების ანაზღაურება; პროგრამის მიმდინარეობაზე ყოველთვიური მონიტორინგის წარმოება.

6.2.9 სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები

ქვეპროგრამის მიზანია სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მარტოხელა ბენეფიციარების ჯანმრთელობისა და ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, საზოგადოებაში რეინტეგრაცია.

უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სოციალურად დაუცველ ოჯახების ბავშვებისათვის (3 წლამდე) ახალი სერვისების დანერგვა - დღის ცენტრის განვითარება.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული საწოლს ან სახლს მიჯაჭვული მარტოხელა ბენეფიციარების შინმოვლა, რომლებსაც ფიზიკური თუ ფსიქიკური პათოლოგიის გამო ესაჭიროებათ დახმარება.

ასევე განხორციელდება მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით სხვადასხვა სახის დახმარებების გაწევა, მათ შორის სამედიცინო დახმარება.

6.2.10 ომის ვეტერანების დახმარება

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება, თანადგომა და მხარდაჭერა; მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაწევა; ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა თბილისის საქალაქო კავშირის ვეტერანების წახალისება.

6.2.11 საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება.

ქვეპროგრამის მიზანია ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების უფასო ან შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფით მოქალაქეთა სოციალური და ეკონომიკური აქტივობის ამაღლება.

ღონისძიებები:

1. რეგულირებადი ეკონომიკური სფეროებისა და ტარიფების განსაზღვრის შესახებ ქ.თბილისის საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილებით დადგენილი კატეგორიების მიხედვით უფასო და შეღავათიანი მგზავრობის ტარიფით მოსარგებლე ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის (მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსით – 0,5 ლარი, ხოლო საბაგირო გადაყვანისას – 1,0 ლარი) შესავსებად თანხების ანაზღაურება;

2. მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და M3 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას სამგზავრო პლასტიკური ბარათით მოსარგებლე იმ მომხმარებელთათვის, რომლებიც სარგებლობენ ქ. თბილისის მერიის მიერ დადგენილი ფასდაკლების სისტემით, ფაქტობრივად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ტარიფის სრული ოდენობის (0,5 ლარი) შესავსებად თანხების ანაზღაურება, გარდა იურიდიული პირე ბისათვის (“კორპორატიული კლიენტი“) დაწესებული შეღავათისა;

3. დედაქალაქში რეგისტრირებული: მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავების, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედებების ზონაში; სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების; სამხედრო ძალების ვეტერანების; მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრების; „სოციალურად დაუცველი ოჯახების ინდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში“ რეგისტრირებული 70 000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ქ. თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების 50%-იანი ფასდაკლებით მგზავრობის

ფასის ანაზღაურება M2 კატეგორიის იმ ავტობუსით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, ხოლო ნებართვების მფლობელთა მიერ ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას გასწავლული 0,65 ლარის მგზავრობის ფასის შემთხვევაში, შეღავათიანი მგზავრობის ფასით მოსარგებლე ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე 0,33 ლარის ანაზღაურება. მე-„3“ პუნქტში მითითებულ მოქალაქეებზე, რომლებიც მგზავრობენ M2 კატეგორიის იმ ავტობუსით, სადაც მგზავრობის ფასის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, აღნიშნული შეღავათები ვრცელდება დღის განმავლობაში ჯამში არაუმეტეს 4 მგზავრობაზე.

6.2.12 სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში

სოციალურად დაუცველი ოჯახების საბინაო პრობლემების მოგვარება; არსებულ სოციალურ სახლებში პროგრამით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება; კომუნალური გადასახადების თანაგადახდის ფონდის განკარგვა;თემის განვითარების ფონდის განკარგვა.

6.2.13 მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა

ქ.თბილისში მცხოვრებ მარტოხელა ხანდაზმულთა საზოგადოებაში ინტეგრაცია. მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის კომუნალური გადასახადების გადახდა. მოხალისეთა მიერ ინიცირებული სოციალური პროექტების დაფინანსება.

6.2.14; 6.2.14.6; 6.2.14.7; 6.2.14.8; 6.2.14.9; 6.2.14.10; 6.2.14.11; 6.2.14.12; 6.2.14.13;

6.2.14.14; 6.2.14.15 უფასო სასადილოებით მომსახურება

რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარება. რაიონში მცხოვრებ ბენეფიციართა რაოდენობის დაზუსტება და მათი უფასო კვებით უზრუნველყოფა.

6.2.15; 6.2.15.7; 6.2.15.8; 6.2.15.9; 6.2.15.10; 6.2.15.11; 6.2.15.12; 6.2.15.13; 6.2.15.14;

6.2.15.15; 6.2.15.16 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები

რაიონში მცხოვრები, გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარება. განხორციელდება: რაიონში

მცხოვრებ მეომართა და გარდაცვლილ მეომართა ოჯახების საინფორმაციო ბაზის შექმნა; გარდაცვლილ მეომართა ოჯახებისათვის დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებისათვის დახმარების გაწევა 350 ლარის ოდენობით.

6.2.16 ; 6.2.16.7; 6.2.16.8; 6.2.16.9; 6.2.16.10; 6.2.16.11; 6.2.16.12; 6.2.16.13; 6.2.16.14; 6.2.16.15; 6.2.16.16 დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია

დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით. რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან გამოყვანილი, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით (ბინის ქირის ასანაზღაურებელი კომპენსაცია).

6.2.17; 6.2.17.7; 6.2.17.8; 6.2.17.9; 6.2.17.10; 6.2.17.11; 6.2.17.12; 6.2.17.13; 6.2.17.14; 6.2.17.15; 6.2.17.16 ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში

ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება და მათი მორალური მხარდაჭერა. ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება და მათი დახმარება.

6.2.18 ; 6.2.18.7; 6.2.18.8; 6.2.18.9; 6.2.18.10; 6.2.18.11; 6.2.18.12; 6.2.18.13; 6.2.18.14; 6.2.18.15; 6.2.18.16 სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში

მიზანია რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ უმწეო მოქალაქეების საარსებო პირობების გაუმჯობესება. განხორციელდება რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო და გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების შემწეობები და დახმარებები. შემოსული განცხადებების საფუძველზე სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობლემების შესაძლებლობების ფარგლებში დაფინანსება.

6.2.19 წყალის გადასახადზე 50%-იანი შეღავათი

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამაში დარეგისტრირებული 4 და მეტი სულიანი ოჯახების (70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების) მიერ მოხმარებული წყლის

საფასურის ასანაზღაურებლად თანაგადახდა 50%-იანი შეღავათის გაწევის მიზნით. ანაზღაურება მოხდება ყოველი წინა თვის სოციალურად დაუცველთა დაზუსტებული ბაზის მიხედვით.

წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში (6.2.20; 6.2.20.1; 6.2.20.2; 6.2.20.3; 6.2.20.4)

დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახლად შემოერთებული ტერიტორიები საჭიროებს ქალაქის ინფრასტრუქტურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას. პირველ რიგში ეს ეხება აღნიშნულ ტერიტორიებზე წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგებას, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის და სამომავლოდ ახალი ობიექტებისათვის და შენობა-ნაგებობებისათვის სასმელი წყლის მისაწვდომობას, სისუფთავეს და უსაფრთხოებას. თბილისის შემოერთებულ ტერიტორიებზე წყალსადენის ქსელების მოწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით ქ. თბილისის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწევათ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას და დახმარების გაცემის პირობებს დაადგენს ქ. თბილისის მთავრობა.

6.2.21 უსახლკაროთა თავშესაფარი

უსახლკაროებისათვის თავშესაფრის მოწყობა და ფუნქციონირება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს უსახლკაროების ღამის თავშესაფრით უზრუნველყოფას, კვებას, პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევას, პირველადი ჰიგიენური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სოციალური მუშაკების შრომის ანაზღაურებას და ორიენტირებული იქნება უსახლკარო მოსახლეობის განთავსების ადგილებში სათანადო მომსახურების უზრუნველყოფაზე.

7. განათლება

საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა განვითარების ხელშეწყობა და სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა უზრუნველყოფს დედაქალაქის საგანმანათლებლო - სააღმზრდელო და კულტურული გარემოს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, საზოგადოების აქტიურ ჩართვას მიმდინარე საგანმანათლებლო-სააღმზრდელო და კულტურულ პროცესებში, მათ ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირებას, ადგილობრივი საგანმანათლებლო -

სააღმზრდელო და კულტურული დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებას, დახვეწასა და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებას. ურბანული კულტურის განვითარებასა და საერთაშორისო შემოქმედებით-საგანმანათლებლო პროცესებში აქტიურ ჩართვას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა აქტივობის ამაღლებასა და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაციას. ეროვნული უმცირესობის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას. პრიორიტეტის ფარგლებში ხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა.

7.1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანია დედაქალაქის საბავშვო ბაგა-ბაღებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბება. საბავშვო ბაგა-ბაღების გამაგრებითი სამუშაოები. ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა მათ შორის სოფელი ფონიჭალა 218 სკოლის მიმდებარედ და ზემო ფონიჭალის ტერიტორიაზე ყოფილი 206 ბაგა-ბაღის აღდგენა. საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელოა დაფინანსება. საბავშვო ბაგა-ბაღების რეფორმისა და მართვის ფუნქციების გაუმჯობესების ხელშეწყობა. თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების ღობეების მოწყობა, ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, საბავშვო ბაგა-ბაღებში სათვალთვალო ვიდეოკამერების მონტაჟი, ბაგა-ბაღების აღმზრდელოა ორცვლიან განრიგზე გადასვლასთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოები; ლოგოპედიების შრომის ანაზღაურების მოწესრიგება. პროგრამიდან დაფინანსდება 2013 წელს (პროგრამული კოდი 2.9.21)-დან გაფორმებული გარდამავალი ხელშეკრულებები.

7.2 განათლების სისტემის რეფორმირება და განვითარება

პროგრამის მიზანია განათლების სისტემის მართვის რეფორმირება, რომელიც დედაქალაქის მოსახლეობას საშუალებას მისცემს შეიძინოს ხარისხიანი განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე, მის ნებისმიერ ეტაპზე, რათა უპასუხოს თანამედროვე შრომის ბაზრის, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მოთხოვნებს. ამისათვის საჭიროა სკოლამდელი განათლების დონეზე არსებული სისტემის განვითარება, ზოგადი განათლების

დონეზე ადგილობრივი ხელისუფლების როლის, ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდა, ხოლო პროფესიული და ზრდასრულთა განათლების დონეზე შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება. ამავდროულად მნიშვნელოვანია ისეთი პროექტების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა ნიშნით საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთათვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. განათლების სისტემის ნებისმიერ დონეზე დაგეგმილ პროგრამებისა და პროექტების ამოცანა იქნება ცოდნის ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და ადამიანისეული პოტენციალის განვითარებაზე ზრუნვა.

7.2.1 უწყვეტი განათლების სისტემის დამკვიდრება

უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვის და განათლების სფეროს რეფორმირების მიზნით შემდეგი პროექტების მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება: სკოლამდელი განათლების რეფორმის ხელშეწყობა; ზოგადი განათლების ხელშეწყობა და განვითარება; პროფესიული და ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება. ასევე, ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც აქტიურად შეუწყობს ხელს მოზარდთა ინტელექტუალური დონის ამაღლებას, შემოქმედებითი უნარების გამოვლენასა და წახალისებას. აღზრდისა და განათლების სფეროში დასაქმებული ადამიანების სოციალურ ინტეგრაციას და სტიმულირებას, მათი პოტენციალის გამოყენებას. არსებული სიახლეების გაცნობას, დანერგვას და საუკეთესო ტრადიციების მქონე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას. ინოვაციური, საგანმანათლებლო და საადმინისტრაციო ინიციატივების ხელშეწყობა. საგანმანათლებლო დონისძიებები ეროვნული უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და სხვა.

7.2.3 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა

ქ.თბილისის მერიის მიერ განხორციელებული პროგრამების, პროექტებისა და დონისძიებების საზოგადოებისათვის მიწოდების უზრუნველყოფა, სხვადასხვა პოლიგრაფიული, ინტერნეტ რესურსების მეშვეობით.

7.2.4 საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება

სოციალური რეკლამის განთავსებისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით ქ.თბილისის ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული პროექტებისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების სამოქალაქო საზოგადოებისათვის ოპერატიული მიწოდების უზრუნველსაყოფად ტელე-რადიო სივრცეში სხვადასხვა ვიდეო-საინფორმაციო რგოლების მომზადება და განთავსება.

7.2.5 მართვის თანამედროვე ინსტრუმენტები / უნარ-ჩვევების განვითარება და საკონსულტაციო მომსახურება

ქ.თბილისის საბიუჯეტო რესურსების, გადასახადის გადამხდელთა მიერ გადახდილი გადასახადების გამჭვირვალე, ეფექტური და ეფექტიანი მართვის მიზნით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების საქმიანობა/სამომავლო გეგმები დაეფუძნება ობიექტურ სტატისტიკურ მონაცემებსა და კვლევებზე დამყარებულ სტრატეგიებსა და პოლიტიკას, მოსახლეობის საჭიროებებზე მიმართულ გადაწყვეტილებებს. სამსახურების მიერ გაწეული სამუშაოების შეფასების ძირითადი კრიტერიუმი ეფექტიანობა-ხარჯების მაჩვენებელი გახდება, რისი დადგენისთვისაც მნიშვნელოვანია თანამედროვე მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ამოქმედებაც. მართვის აღნიშნული ინსტრუმენტების დანერგვის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია სათანადო უნარ-ჩვევების განვითარებასა და ხარისხიანი საკონსულტაციო მომსახურებაზე ზრუნვა.

7.3 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის (38 ფილიალი თბილისის სხვადასხვა უბანში და შემოერთებული ტერიტორიების 6 ბიბლიოთეკა) ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით. მათ შორის: მოძველებული ბიბლიოთეკების განახლება, თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვა, ახალი მეთოდების დანერგვა - კომპიუტერიზაცია, მომხმარებლებისათვის გაუმჯობესებული სერვისების შეთავაზება, მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და საერთაშორისო ინსტიტუციებთან თანამშრომლობა, წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელება, ახალი თაობის დაინტერესება წიგნით და საზოგადოების განათლებისთვის საჭირო ინფორმაციით და სხვა;

თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით, სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი

განხორციელების კოორდინაცია. მათ შორის: მედიათეკებში გაიმართება "კითხვის საათები", მულტიპლიკაციური ფილმების ჩვენება, გამოფენები, ორგანიზებული ვიზიტები სხვადასხვა სკოლებიდან, შეხვედრები საყვარელ მწერლებთან, წიგნის პრეზენტაციები, კონფერენციები, ტრენინგები, აქტივობები ღია ცის ქვეშ, ფილმის ჩვენებები და დისკუსიები აქტუალურ საკითხებზე, უფასო გაკვეთილები უცხოელებისათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ყოველკვირეული პროექტი სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის (ზღაპრის კითხვა, მულტიპლიკაციური ფილმების ჩვენება), ყოველკვირეული პროექტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, სხვადასხვა კინო - შედეგების ხილვა დიდ ეკრანზე ორიგინალში, ქართული სუბტიტრები. თითების თეატრის წარმოდგენები ბავშვებისათვის და სხვა).

8. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

კულტურის და ხელოვნების სფეროებში სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ტრადიციების დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით; ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების და თეატრების ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; სახელოვნებო განათლების და ხელოვნების დარგების პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა; თბილისში ხელოვნების პოპულარიზაცია, საერთაშორისო თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, წიგნის ფესტივალების, კონცერტებისა და გამოფენების ხელშეწყობა; შემოქმედებითი (მათ შორის ფოლკლორული) კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა; პრიორიტეტის ფარგლებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; სპორტის სხვადასხვა სახეობის, საქართველოს ასაკობრივი გუნდების მომზადებასა და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში)

მონაწილეობის ხელშეწყობას; სპორტული დაწესებულებების ბაზების თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობას; მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესებას; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქციას თბილისის ყველა უბანში; ახალგაზრდების სხვადასხვა ასპარეზზე მხარდაჭერას და მათი სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წევრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობას.

8.1 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

თანამედროვე თეატრალური ხელოვნებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა გულისხმობს ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე თეატრების არსებული მდგომარეობის შეფასებას და დახმარებას რეპერტუარის განახლებაში, თითოეული თეატრის მოთხოვნების, სტრუქტურის, შინაარსისა და მოცულობის გათვალისწინებით; ადგილობრივი თეატრების ხელშეწყობას სპექტაკლების დადგმის ხარჯის გაწევით და ტექნიკური აღჭურვილობით. საშემსრულებლო ხელოვნებისა და კულტურული ინიციატივების ტენდენციების წარმოდგენა თეატრალური წარმოდგენების სახით და ამ გზით საქართველოში საერთაშორისო კულტურული ცენტრის შექმნა ყველა თაობისა და ასაკის ადამიანებისათვის, ხელს შეუწყობს თბილისისა და საქართველოს კულტურული ცხოვრების გამდიდრებას, თანამედროვე თეატრალური ხელოვნებისა და კულტურის ყველაზე გამომწვევი, საინტერესო, საუკეთესო ნამუშევრებით და ამ სახით თბილისისა და საქართველოს მოსახლეობის კულტურული და ეკონომიკური კეთილდღეობის განვითარებას, თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის მოპოვებას და მის მიმართ დაინტერესების ზრდას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ადგილობრივი მნიშვნელობის თეატრების (ს.ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი, თეატრი „გლობუსი“, სამეფო უბნის თეატრი) სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, რეპერტუარის განახლების, სადადგმო, საგასტროლო და ტექნიკური აღჭურვილობის ხარჯების დაფარვა;

თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის, მუნიციპალური თეატრების სარეკომენდაციო საბჭოს ხელშეწყობა; ინკლუზიური თეატრალური ხელოვნების მეთოდოლოგიის შემუშავება თბილისის მუნიციპალური თეატრებისთვის; ინკლუზიური თეატრალური დასის შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა.

8.2 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების (ქართული ხალხური საგუნდო და მუსიკალური საკრავები - სასულე და სიმფონიური ორკესტრების - ვიოლინო, ვიოლენჩელო, ჩელო, კონტრაბასი, არფა, ფლეიტა, კლარნეტი, ვალტორნა, საქსაფონი, საყვირი, დასარტყამი ინსტრუმენტები, ტრომბონი და სხვა) შენარჩუნების მიზნით:

ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის #19 ხელოვნების სკოლაში - საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით მოსწავლეთა უფასო სწავლება;

შოთა შანიძის სახელობის #20 ხელოვნების სკოლაში - საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით მოსწავლეთა უფასო სწავლება;

ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის #28 ხელოვნების სკოლაში - ქართული ხალხური საგუნდო ხელოვნების განყოფილებაზე მოსწავლეთა უფასო სწავლება;

ჰამლეტ გონაშვილის სახელობის #29 ხელოვნების სკოლაში - თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობის განხრით მოსწავლეთა უფასო სწავლება;

თბილისის ხელოვნების სკოლების და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეების და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით);

სახელოვნებო სკოლებში ინკლუზიური სწავლების დაფინანსება;

თბილისის ხელოვნების სკოლებში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების გამოსავლენად ფესტივალების, საქალაქო კონკურსების და სხვა ღონისძიებების ჩატარება;

ხელოვნების სკოლებისათვის და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისათვის ფესტივალების, საქალაქო კონკურსების, საანგარიშო და საიუბილეო კონცერტებისათვის დარბაზით მომსახურება;

ტრენინგები, ვორქშოპები, სემინარები ხელოვნების სკოლებისათვის და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისათვის (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები); საიუბილეო ღონისძიებების პოლიგრაფიული მომსახურება (ბუკლეტები, ბროშურები და სხვა საინფორმაციო);

სასწავლო-საგანმანათლებლო მასალების მომზადება-გამოცემა (სასწავლო გეგმები, პროგრამები, სასწავლო სახელმძღვანელოები) და სხვა.

8.3 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების (ი.ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, ზ.ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი, ნ.ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი, მ.ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმი, გ.ტაბიძის სახლ-მუზეუმი, ვ.ჭაბუკიანის ბინა-მუზეუმი, მ.კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი, ს.წერეთლის სახლ-მუზეუმი, ქ.თბილისის თოჯინების მუზეუმი, ე.ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეა) მოვლა-პატრონობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა;

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმებზე არსებული ინფორმაციის შევსება, განახლება და სისტემატიზაცია, სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკის, სამუზეუმო ფონდების განახლების, მართვის გაუმჯობესების, საერთაშორისო ინსტიტუციებთან თანამშრომლობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, საგანმანათლებლო ფუნქციის გააქტიურების ხელშემწყობი ღონისძიებები;

მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით;

მოსახლეობის ფართო მასების ინტერესების გათვალისწინებით ახალი პროგრამების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმებში მიმდინარე მოვლენებით დაინტერესების კულტურის დამკვიდრებას და დამთავალიერებელთა რაოდენობის ზრდას.

8.4 ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება

თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით საკონცერტო ორკესტრის “ზიგ-ბენდი” ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების

განხორციელების გზით. ორკესტრი ხელს უწყობს ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა გამოვლენასა და მათ აქტიურ ჩაბმას საკონცერტო საქმიანობაში; ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის ხელშეწყობა, ქართული ფოლკლორის დარგების შესწავლა და პოპულარიზაცია, ქართული ფოლკლორისა და ხელოვნების ტრადიციების დაცვა და განვითარება კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით, მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება ფოლკლორული მუსიკით და მათი მიზიდვა საგანმანათლებლო-სახელოვნებო სივრცეში;

თბილისის პანთეონების (მთაწმინდა, დიდუბე, ხოჯევანქი) მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია - მისი როგორც საქართველოს უახლესი ისტორიის ძეგლის წარმოჩინება და კულტურულ ტურიზმში ჩართვა;

მუნიციპალური კულტურის დაწესებულებების (ხელოვნების სკოლები, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები, მუზეუმები, ბიბლიოთეკები, თეატრები) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები. მათ შორის: შენობების მიმდინარე რემონტი, საოფისე ინვენტარის, სასწავლო ტექნიკის შეძენა, მუსიკალური ინსტრუმენტების განახლება, ტექნიკური აღჭურვა, კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება და სხვა.

8.5 კულტურის ღონისძიებები

პროგრამის მიზნები ემსახურება ჩვენი ქვეყნის ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენას, მათ ხელშეწყობას და მათი პროექტების მეშვეობით ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ღვაწლმოსილი ხელოვანების სათანადოდ დაფასებასა და მათი შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას, ახალგაზრდებისათვის კი მაქსიმალურ ჩართულობასა და სტიმულის მიცემას. საზღვრებს გარეთ დედაქალაქის სათანადო იმიჯის ჩამოყალიბებას, დაძმობილებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნებას და გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, დედაქალაქის მსოფლიო კულტურულ რუქაზე ღირსეული ადგილის დამკვიდრებას, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალების მეშვეობითაა შესაძლებელი.

სახელმწიფო სახალხო და რელიგიური სადღესასწაულო ღონისძიებების აღნიშვნა, ტრადიციების შენარჩუნების გათვალისწინებით და მოსახლეობისა და

ტურისტებისათვის სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემოს შექმნა, რაც დღესასწაულების ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი;

სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარება, როგორცაა: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო თუ ლიტერატურა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვნების ჩართულობა;

თეატრალური პროექტების ფარგლებში სხვადასხვა თეატრებსა თუ დამოუკიდებელ რეჟისორებს ეძლევათ შესაძლებლობა განახორციელონ ახალი თეატრალური დადგმები თბილისის სხვადასხვა თეატრების სცენებზე. ხელოვნების ინტერესი და მათი ჩართულობა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმართ, ყოველწლიურად იზრდება, რაც განაპირობებს სხვადასხვა ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა შემოქმედების რეალიზებას საქართველოს დედაქალაქში;

თბილისის კულტურის სფეროს კვლევა, ანალიზი და განვითარების კომცეფციის შემუშავება. თბილისის ჩართვა რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებში. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებით თბილისის განვითარების სტრატეგიის განხორციელება. გრძელვადიანი სტრატეგიის საფუძველზე დედაქალაქის კულტურული განვითარებისა და ხელმისაწვდომობის კომპლექსური პროგრამების ჩამოყალიბება.

თბილისის ისტორიის კვლევის ხელშეწყობა. კულტურული ღირებულების ექსპორტისა და კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

საწვლმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის კოორდინაცია.

8.6 სპორტის განვითარების ხელშეწყობა

თბილისში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება - პოპულარიზაცია, თბილისის ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების

გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები);

სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ და თბილისის ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; ახალგაზრული ღონისძიებების ხელშეწყობა.

მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება;

სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის;

სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა;

8.6.1 სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები

სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება–პოპულარიზაცია;

სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადება და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობა;

სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი სპორტული ღონისძიებების, თასის გათამაშებების, ქალაქის პირველობების და ჩემპიონატების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების ჩატარება და სპორტსმენტა მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე;

თბილისის ნაკრები გუნდების საერთაშორისო და რესპუბლიკის ტურნირებში მონაწილეობა;

2015 წელს თბილისში დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის მაღალი კლასის სპორტსმენების მომზადება;

დედაქალაქის ნაკრები გუნდებისათვის სასწავლო საწვრთნო და ფიზიკური მომზადებისათვის სასწავლო-გამაჯანსაღებელი შეკრებების მოწყობა;

სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნული და თბილისის ფედერაციების, თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული სპორტული ცენტრების საქმიანობის ხელშეწყობა; წყალბურთის კლუბის „თბილისი“ და კალათბურთის კლუბის „დინამო“ ხელშეწყობა.

პროგრამა ასევე მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობისკენ და ითვალისწინებს მათ მიერ ჩატარებული ღონისძიებების მხარდაჭერას და წახალისებას, ტრენინგ-პროგრამების შემუშავებას, ახალგაზრდების მონაწილეობას სხვადასხვა კონფერენციებში, ფორუმებში, სესიებში, კონკურსებში და სამუშაო ჯგუფებში; ახალგაზრდა შემოქმედთა წახალისების მიზნით გამოფენების, კონცერტების, ლიტერატურული სადამოების, ფესტივალების, კონკურსების მოწყობას; ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა პროექტების განხორციელებას კულტურის, სპორტის, მეცნიერება - განათლების, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში; კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობას, ქართველი ახალგაზრდების ჩართვას სხვადასხვა აქტივობებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავებას სხვადასხვა მიმართულებით; არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, ახალგაზრდებისათვის თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად გამოყენების ორგანიზებას.

8.6.2 მწვრთნელთა მხარდაჭერა

ბავშვთა ჯგუფებთან მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა მატერიალური წახალისება ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, გაზრდის მათ დაინტერესებას სასწავლო-საწვრთნო პროცესის ჩატარების მიმართ და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ საშეჯიბრო პროგრამებში, რაც ხელს შეუწყობს დედაქალაქის სპორტის სხვადასხვა სახეობებში მწვრთნელ-მასწავლებლების მიერ პერსპექტიული მოზარდებისა და ახალგაზრდების მოძიებას, მათ ჩაბმას სპორტულ ჯგუფებში და მაღალი შედეგების მიღწევას.

8.6.3 სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია

ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი თბილისის ყველა უბანსა და ეზოში ხელს შეუწყობს მოსახლეობის ფართო მასებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სპორტის პოპულარიზაციას. ქალაქში უკვე ფუნქციონირებს 600-მდე სპორტული მოედანი. 2014 წელს რეაბილიტაცია უნდა ჩაუტარდეს 100-მდე არსებულ მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიან მრავალფუნქციურ სპორტულ მოედანს, რაც შესაძლებლობას მისცემს დედაქალაქის მოსახლეობას აქტიურად ჩაებას სპორტში და იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრების წესით.

8.6.4 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები განაპირობებს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო-საწვრთნელი პროცესის წარმართვისათვის ხელის შეწყობას, ამაღლებს სპორტული ობიექტების კონკურენტუნარიანობას, რაც შესაბამისად დადებითად წაადგება სპორტის პოპულარიზაციას და განვითარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული სპორტული ცენტრებისა და დედაქალაქში არსებული საზოგადოებრივი მოხმარების ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარიტა და ტექნიკით აღჭურვა და მოწესრიგების სხვა ღონისძიებები.

8.6.5 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება

სპორტის სხვადასხვა სახეობების, 18 წლამდე ასაკის, პერსპექტიული სპორტსმენების მატერიალური წახალისება ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, გაზრდის მათ დაინტერესებას სასწავლო-საწვრთნო პროცესის ჩატარების მიმართ და გაააქტიურებს მათ საშეჯიბრო პროგრამებში მონაწილეობას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს პირველობებში, ჩემპიონატებში, თასების გათამაშებებში და საერთაშორისო ტურნირებში მაღალი შედეგების მიღებას, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, გაზრდის პროფესიონალური სპორტის პოპულარობას, სწორად წარმართავს ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის გამოყენებას.

8.6.6 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის მიზანია: სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; პარასპორტული წრეების ჩამოყალიბება, სახეობების მიხედვით, მათი პრივილეგიების გათვალისწინებით; კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლების და მენეჯერების მოზიდვა კონკურენტუნარიანი სპორტსმენების აღსაზრდელად; პარასპორტული სახეობების პოპულარიზაცია მთელს საზოგადოებაში; ამ ეტაპზე ხორციელდება ინტენსიური საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი პარაფარიკაობასა და პარამშვილდოსნობაში. ცენტრის მიზანია კიდევ სხვა პარასპორტული სახეობების განვითარება და შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოზიდვა მათი რესოციალიზაციის მიზნით.

8.6.7 კალათბურთის ხელშეწყობის ღონისძიებები

კალათბურთის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საჭირო პირობების შექმნა.

8.6.8 ზ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის განვითარება

ქვეპროგრამის მიზანია თბილისის ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის განვითარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. "UEFA"-ს სუპერ თასის ფინალური თამაშის მასპინძლობისთვის შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინება მათ შორის: ბილეთების ელექტრონული სისტემისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკის მონტაჟი, რომელიც სტადიონზე დამსწრე გულშემატკივართა ორგანიზებულად მოძრაობისა და უსაფრთხოების, ასევე ბილეთების გაყალბებისგან დაცვის უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

8.7 „თბილისი – 2015“ ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებები

„თბილისი - 2015“ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალთან დაკავშირებით, თბილისში გრძელდება სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ახალი სპორტული დარბაზების მშენებლობას, არსებული სპორტული ცენტრების რეაბილიტაციას და მათ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას გულისხმობს. ფესტივალის ფარგლებში შეჯიბრებები სპორტის 9 სახეობაში - კალათბურთში, ხელბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, ძიუდოში,

მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, ველოსპორტში გაიმართება და მონაწილეობას მიიღებს 49 ქვეყანა;

თბილისი – 2015 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერა, მათ შორის: ოლიმპიური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სპორტული ინვენტარის შეძენა, ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობის ხელშეწყობა და სხვა.

9. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

9.1 საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვა

პროგრამის მიზანია ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად ადგილზე დროული მისვლა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა; საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება; მოსახლეობის დაცვა მაწანწალა-უზედამხედველო ცხოველებისა (ძაღვი, კატა) და ქვეწარმავლებისაგან.

თავი VI

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 13. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები პროგრამების მიხედვით

განისაზღვროს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები თანდართული რედაქციით

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2013 წლის გეგმა	2014 წლის გეგმა
	სულ ბიუჯეტის ასიგნებები	740 000,7	772 424,6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	3 373,0	3 498,0

2	ხარჯები	648 462,4	622 852,0
21	შრომის ანაზღაურება	47 499,2	47 731,0
22	საქონელი და მომსახურება	124 401,3	156 707,0
24	პროცენტი	1 210,0	1 388,6
25	სუბსიდიები	81 315,9	98 640,9
27	სოციალური უზრუნველყოფა	163 503,1	198 942,4
28	სხვა ხარჯები	230 532,8	119 442,1
31	არაფინანსური აქტივები	83 039,6	137 582,3
32	ფინანსური აქტივები	946,0	4 700,0
33	ვალდებულებები	7 552,8	7 290,4
1	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა	122 382,2	92 103,8
2	ხარჯები	76 703,9	44 396,4
22	საქონელი და მომსახურება	34 885,1	40 785,9
28	სხვა ხარჯები	41 818,8	3 610,5
31	არაფინანსური აქტივები	45 663,5	47 707,4
33	ვალდებულებები	14,9	-
1.1	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება	66 332,2	70 229,3
2	ხარჯები	29 903,9	35 140,5
22	საქონელი და მომსახურება	29 735,1	35 140,5
28	სხვა ხარჯები	168,8	-
31	არაფინანსური აქტივები	36 413,5	35 088,8
33	ვალდებულებები	14,9	-
1.1.1	გზების მშენებლობა და აღდგენა	42 480,7	45 088,8
2	ხარჯები	8 068,8	12 000,0
22	საქონელი და მომსახურება	7 900,0	12 000,0
28	სხვა ხარჯები	168,8	-
31	არაფინანსური აქტივები	34 411,9	33 088,8
1.1.2	გზების მოვლა-შეკეთება გლდან-ნაძალადევის რაიონში	72,3	-

2	ხარჯები	72,3	-
22	საქონელი და მომსახურება	72,3	-
1.1.5	გზების მოვლა შეკეთება ისანი-სამგორის რაიონში	14,9	-
2	ხარჯები	0,1	-
22	საქონელი და მომსახურება	0,1	-
33	ვალდებულებები	14,9	
1.1.6	გზების მოვლა-შეკეთება ძველი თბილისის რაიონში	50,0	-
2	ხარჯები	50,0	-
22	საქონელი და მომსახურება	50,0	-
1.1.8	გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში	3 663,0	3 250,0
2	ხარჯები	3 663,0	3 250,0
22	საქონელი და მომსახურება	3 663,0	3 250,0
1.1.9	გზების მოვლა-შეკეთება ნამალადევის რაიონში	1 358,2	2 245,3
2	ხარჯები	1 358,2	2 245,3
22	საქონელი და მომსახურება	1 358,2	2 245,3
1.1.10	გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში	979,3	1 587,9
2	ხარჯები	979,3	1 587,9
22	საქონელი და მომსახურება	979,3	1 587,9
1.1.11	გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში	1 188,6	1 858,8
2	ხარჯები	1 188,6	1 858,8
22	საქონელი და მომსახურება	1 188,6	1 858,8
1.1.12	გზების მოვლა-შეკეთება ვაკის რაიონში	2 950,0	2 943,0
2	ხარჯები	2 950,0	2 943,0
22	საქონელი და მომსახურება	2 950,0	2 943,0
1.1.13	გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში	2 180,0	2 868,0
2	ხარჯები	2 180,0	2 868,0

22	საქონელი და მომსახურება	2 180,0	2 868,0
1.1.14	გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში	2 452,6	3 000,0
2	ხარჯები	2 452,6	3 000,0
22	საქონელი და მომსახურება	2 452,6	3 000,0
1.1.15	გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში	3 142,6	2 386,0
2	ხარჯები	3 142,6	2 386,0
22	საქონელი და მომსახურება	3 142,6	2 386,0
1.1.16	გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში	1 000,0	1 901,5
2	ხარჯები	1 000,0	1 901,5
22	საქონელი და მომსახურება	1 000,0	1 901,5
1.1.17	გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში	4 800,0	3 100,0
2	ხარჯები	2 798,4	1 100,0
22	საქონელი და მომსახურება	2 798,4	1 100,0
31	არაფინანსური აქტივები	2 001,6	2 000,0
1.2	ტრანსპორტის განვითარება	56 050,0	21 874,5
2	ხარჯები	46 800,0	9 255,9
22	საქონელი და მომსახურება	5 150,0	5 645,4
28	სხვა ხარჯები	41 650,0	3 610,5
31	არაფინანსური აქტივები	9 250,0	12 618,6
1.2.1	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები	22 450,0	6 964,0
2	ხარჯები	16 700,0	3 245,4
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით. რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა მიზეზით ავარული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან გამოყვანა, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების უზრუნველყოფა საცხოვრებელი ფართით (ბინის ქირის ასანაზღაურებელი კომპენსაცია).	
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დროებითი თავშესაფრით დაკმაყოფილებული მოსახლეობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	დროებითი თავშესაფრის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა

ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში 6.2.17; 6.2.17.7; 6.2.17.8; 6.2.17.9; 6.2.17.10; 6.2.17.11; 6.2.17.12; 6.2.17.13; 6.2.17.14; 6.2.17.15; 6.2.17.16.	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება და მათი მორალური მხარდაჭერა
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება და მათი დახმარება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ომის ვეტერანების ღვაწლის დაფასება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	
ვეტერანთა რაოდენობა.	

სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში 6.2.18; 6.2.18.7; 6.2.18.8; 6.2.18.9; 6.2.18.10; 6.2.18.11; 6.2.18.12; 6.2.18.13; 6.2.18.14; 6.2.18.15; 6.2.18.16.	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობები
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები უწყვეტი და გაქრეველ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების შეწყობები და დახმარებები
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	შემოსული განცხადებების სფეროებზე სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობლემების შესაძლებლობების ფარგლებში დაფინანსება. რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ უწყვეტი მოქალაქეების საარსებო პირობების გაუმჯობესება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დაფინანსებული მოსახლეობის რაოდენობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო პრობლემების გაუმჯობესება.
დაფინანსებული მოსახლეობის რაოდენობა.	

წყლის გადასახადზე 50%-იანი შეღავათი 6.2.19

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების იდენტიფიკაციის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისა და მონაცემთა ბაზის ფორმირების პროგრამაში დარეგისტრირებული 4 და მეტი სულაიანი ოჯახების (70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების) მიერ მოხმარებული წყლის საფასურის ასანაზღაურებლად თანაგადახდა 50%-იანი შეღავათის გაწევის მიზნით, ანაზღაურება მოხდება ყოველი წინა თვის სოციალურად დაუცველთა დაუცველი დაზუსტებული ბაზის მიხედვით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	
პროგრამაში მონაწილე ოჯახების რაოდენობა	

<p>წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები რაიონებში (6.2.20, 6.2.20.1, 6.2.20.2, 6.2.20.3, 6.2.20.4)</p> <p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ვლადის რაიონის გამგეობა, ვაკის რაიონის გამგეობა, საბურთალოს რაიონის გამგეობა, სამგორის რაიონის გამგეობა</p> <p>დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ახლად შემოერთებული ტერიტორიები საქართველოს ქალაქის ინფრასტრუქტურის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას, პირველ რიგში ეს ეხება აღნიშნულ ტერიტორიებზე წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგებას, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის და სამომავლოდ ახალი ობიექტებისათვის და შერობა-ნაგებობებისათვის სასმელი წყლის მისაწვდომობას, სისუფთავეს და უსაფრთხოებას. თბილისის შემოერთებულ ტერიტორიებზე წყალსადენის ქსელების მოწყობასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით ქ. თბილისის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწევათ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას და დახმარების გაცემის პირობებს დაადგენს ქ. თბილისის მთავრობა.</p> <p>ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად, დედაქალაქის შემომატებული ტერიტორიები აღჭურვილი იქნება ქალაქის ინფრასტრუქტურისათვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საჭირო კომპონენტით - წყალმომარაგების სისტემით, რაც შესაძლებელს გახდის ტერიტორიების საკალაქო განვითარებას.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები</p> <p>დაკმაყოფილებული ოჯახების რაოდენობა.</p>	
<p>უსახლკაროთა თავშესაფარი (6.2.21)</p>	<p>ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური;</p> <p>ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური</p> <p>უსახლკაროებისათვის თავშესაფრის მოწყობა და ფუნქციონირება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს უსახლკაროების ღამის თავშესაფრით უზრუნველყოფას, კვებას, პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევას, პირველადი ჰიგიენური მოთხოვნების დაკმაყოფილებას, სოციალური მუშაკების შრომის ანაზღაურებას და ორგანიზაციული იქნება უსახლკარო მოსახლეობის განთავსების ადგილებში სათანადო მომსახურების უზრუნველყოფაზე.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>	<p>უსახლკაროების დაცვა კრიზისულ სიტუაციებში</p>
<p>პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა</p>	<p>მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>

7. პროორიტი - განათლება

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
7.1	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა	76 921,0	80 200,0	81 200,0	81 700,0
7.2	განათლების სისტემის რეფორმირება და განვითარება	1 958,0	2 302,0	2 304,0	2 304,0
7.3	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	3 100,0	3 201,0	3 302,0	3 302,0
	სულ პროორიტეტის დაფინანსება	81 979,0	85 703,0	86 806,0	87 306,0

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა 7.1

პროგრამის განმახორციელებელი	ქთბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახური; ქთბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ქთბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია დედაქალაქის საბავშვო ბაგა-ბავშვებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბება. საბავშვო ბაგა-ბავშვების განვითარებითი სამუშაოები. ახალი საბავშვო ბავშვების მშენებლობა მათ შორის სოფელი ფონიჭალა 218 სკოლის მიმდებარედ და ზემო ფონიჭალის ტერიტორიაზე ყოფილი 206 ბაგა-ბაღის აღდგენა. საბავშვო ბაგა-ბაღის აღსაზრდელობა დაფინანსება. საბავშვო ბაგა-ბავშვების რეფორმის და მართვის ფუნქციების გაუმჯობესების ხელშეწყობა. თბილისის საბავშვო ბაგა-ბავშვების მოწყობა, ახალი საბავშვო ბაგა-ბავშვების მშენებლობისთვის საბიუჯეტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა, საბავშვო ბაგა-ბავშვებში სათვალთვალო ვიდეოკამერების მონტაჟი, ბაგა-ბავშვების აღზრდელთა ორგანიზაციების განხორციელება და კავშირებით მოსამზადებელი სამუშაოები; ლოგოტიპების შრომის ანაზღაურების მოქსროება. პროგრამიდან დაფინანსდება 2013 წელს (პროგრამული კოდი 2.9.21)-დან გაფორმებული გარდაამავალი ხელშეკრულებები.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბავშვო ბაგა-ბავშვებში გაუმჯობესებული სააღზრდელი პროცესი; საბავშვო ბაგა-ბავშვების მენეჯმენტის სრულყოფა;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	საბავშვო ბაგა-ბავშვებში დასაქმებული მოტივაციის და კვალიფიკაციის ამაღლება;
აღსაზრდელი რაოდენობა	

განათლების სისტემის რეფორმირება და განვითარება 7.2

პროგრამის განმახორციელებელი	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების და კულტურის საქალაქო სამსახური; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია განათლების სისტემის მართვის რეფორმირება, რომელიც დედაქალაქის მოსახლეობას საშუალებას მისცემს შეიძინოს ხარისხიანი განათლება მთელი ცხოვრების მანძილზე, მის ნებისმიერ ეტაპზე, რათა უზრუნველყოს თანამედროვე შრომის ბაზრის, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების მოთხოვნებს. ამისთვის საქართველოს, ევროპული გაერთიანების დონეზე არსებული განვითარება, ზოგადი განათლების დონეზე ადგილობრივი ხელისუფლების როლის, ეფექტურობის და ეფექტიანობის გაზრდა, ხოლო პროფესიული და ზრდასრულთა განათლების დონეზე შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება. ამგვარი რეფორმული მიზნების განხორციელება და უზრუნველყოფის სხვადასხვა ნიშნით საზოგადოების მოწვევა და ახალი საბავშვო ბაგა-ბავშვების განათლების ხელშეწყობის უზრუნველყოფის განხორციელება. განათლების სისტემის ნებისმიერ დონეზე დაგეგმილ პროგრამების და პროექტების ამოცანა იქნება ცოდნის ეკონომიკის მშენებლობის ხელშეწყობა და ადამიანის უფლებების პოტენციალის განვითარებაზე ზრუნვა.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შემცნობით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის (ასაკობრივი და სოციალური ჯგუფების) განათლების ხელმისაწვდომობა
პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა	პროგრამის მიზანმიმართულ პროგრამების რაოდენობა.
განხორციელებული პროგრამების რაოდენობა	

უწყვეტი განათლების სისტემის დამკვიდრება 7.2.1

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვის და განათლების სფეროს რეფორმირების მიზნით შემდეგი პროექტების მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება: სკოლაში განათლების რეფორმის ხელშეწყობა; ზოგადი განათლების ხელშეწყობა და განვითარება; პროფესიული და ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება. ასევე, ისეთი პროექტების განხორციელება, რომელიც აქტიურად შეუწყობს ხელს მოზარდთა ინტელექტუალური დონის ამაღლებას, შემოქმედებითი უნარების გამოვლენასა და წახალისებას. აღზრდისა და განათლების სფეროში დასაქმებული ადამიანების სოციალურ ინტეგრაციას და სტიმულირებას, მათი პოტენციალის გამოყენებას. არსებული სიახლეების გაცნობას, დანერგვას და საუკეთესო ტრადიციების მქონე ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას. ინოვაციური, საგანმანათლებლო და საადამიანობის განვითარების ხელშეწყობა. საგანმანათლებლო დონის მიზნები ეროვნული უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და სხვა.</p>
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება; მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის (ასაკობრივი და სოციალური ჯგუფების) განთავსების ხელმისაწვდომობა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების (მათ შორის: შშმ პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ასევე, ეროვნული უმცირესობების) სამოქალაქო ინტეგრაცია,</p>
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების რაოდენობა.</p>	

საზოგადოების განათლების და ინფორმირების ხელშეწყობა 7.2.3	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. თბილისის მერიის მიერ განხორციელებული პროგრამების, პროექტებისა და ღონისძიებების საზოგადოებისათვის მიწოდების უზრუნველყოფა, სხვადასხვა პოლიგრაფიული, ინტერნეტ რესურსების მეშვეობით
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საზოგადოებისათვის ქ. თბილისის მერიის მიერ განხორციელებული პროგრამების, პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესება
მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	
ქ. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ განხორციელებულ პროექტებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მადალი ხარისხი.	

საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება 7.2.4	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სოციალური რეკლამის განთავსებისა და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული პროექტებისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების სამოქალაქო საზოგადოებისათვის ონერატული მიწოდების უზრუნველსაყოფად ტელე-რადიო სერვისების სხვადასხვა ვიდეო-საინფორმაციო რგოლების მომზადება და განთავსება
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საზოგადოების ჩართულობის დონის ამაღლება
მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	
განხორციელებული პროექტების რაოდენობა	

მართვის თანამედროვე ინსტრუმენტები / უნარ-ჩვევების განვითარება და საკონსულტაციო მომსახურება 7.2.5	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქ. თბილისის საბიუჯეტო რესურსების, გადასახადის გადამხდელთა მიერ გადამხდელთა გადამსახადების გამჭვირვალე, ეფექტური და ეფექტიანი მართვის მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების საქმიანობა/სამომავლო გეგმები დაეფუძნება ობიექტურ სტატისტიკურ მონაცემებსა და კვლევებზე დამყარებულ სტრატეგიებსა და პოლიტიკას, მისახლეობის საჭიროებებზე მიმართულ გადაწყვეტილებებს. სამსახურების მიერ გაწეული სამუშაოების შეფასების ძირითადი კრიტერიუმები ეფექტიანობა-ხარჯების მაჩვენებელი გახდება, რისი დადგენისთვისაც მნიშვნელოვანია თანამედროვე მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ამოქმედება. მართვის აღნიშნული ინსტრუმენტების დანერგვის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია სათანადო უნარ-ჩვევების განვითარებასა და ხარისხიანი საკონსულტაციო მომსახურებაზე ზრუნვა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამსახურის თანამშრომლები იცნობენ და პრაქტიკაში ცდილობენ გამოიყენონ სტრატეგიული დაგეგმვის, პოლიტიკის ანალიზის, თანამონაწილეობით დაგეგმვების, თანამედროვე მოდელზე დამყარებული პროგრამების შემუშავებისა და მართვის, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტებს/ტექნოლოგიებს
მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორები	
დაგეგმილი პროგრამების განხორციელების კუთხით არსებული სიტუაციის ანალიზი;	
სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებით შექმნილი ანალიტიკური დოკუმენტები;	
სამოქმედო არეალში არსებული სიტუაციის ანალიზზე დაფუძნებული პროგრამები;	
ობიექტურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაფუძნებული წლიური ანგარიშები	

ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა 7.3

პროგრამის განმახორციელებელი

ქობულისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური;
ქობულისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური

პროგრამის აღწერა და მიზანი

თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის (38 ფილიალი თბილისის სხვადასხვა უბანში და შემოერთებული ტერიტორიების 6 ბიბლიოთეკა) ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით. მათ შორის: მიმდევრული ბიბლიოთეკების განახლება, თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვა, ახალი მეთოდების დანერგვა - კომპიუტერიზაცია, მიმხმარებლებისათვის გაუმჯობესებული სერვისების შეთავაზება, მომსახურე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და საერთაშორისო ინსტიტუციებთან თანამშრომლობა, წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ჩატარება, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელება, ახალი თაობის დაინტერესება წიგნით და საზოგადოების განათლებისთვის საჭირო ინფორმაციით და სხვა;

თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით, სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია. მათ შორის: მედიათეკებში გაიმართება "კითხვის საათები", მულტიპლიკაციური ფილმების ჩვენება, გამოფენები, ორგანიზებული ვიზიტები სხვადასხვა სკოლებიდან, შეხვედრები საყვარელ მწერლებთან, წიგნის პრეზენტაციები, ტრენინგები, აქტივობები ღია ცის ქვეშ, ფილმის ჩვენებები და დისკუსიები აქტუალურ საკითხებზე. უფასო გაკვეთილები უცხოელებისათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ყოველკვირეული პროექტი სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის (ზღაპრის კითხვა, მულტიპლიკაციური ფილმების ჩვენება), ყოველკვირეული პროექტი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, სხვადასხვა კინო - შედეგებისათვის (ზღაპრის კითხვა, მულტიპლიკაციური ფილმების ჩვენება). თითების თეატრის წარმოდგენები ბავშვებისათვის და სხვა).

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

სამბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა;
მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზებით მკითხველთა დაინტერესების ზრდა;
ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

სერვისებით მოსარგებლე პირთა რაოდენობა;

საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა.

საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურული ღონისძიებების რაოდენობა.

8. პრიორიტეტი - კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
8.1	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	2 000,4	2 020,0	2 050,0	2 050,0
8.2	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	1 633,3	1 631,0	1 644,0	1 636,0
8.3	ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარებისა და პოპულარიზაცია	922,2	932,2	942,2	952,2
8.4	ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება	4 768,0	4 772,0	4 776,0	4 780,0
8.5	კულტურის დონისძიებები	4 050,0	3 600,0	3 650,0	3 700,0
8.6	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	16 951,2	13 203,0	13 355,0	13 507,0
8.7	„თბილისი - 2015“ წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებები	25 800,0	17 000,0	0,0	0,0
	სულ პრიორიტეტის დაფინანსება	56 125,1	43 158,2	26 417,2	26 625,2

თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა 8.1

<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>თანამედროვე თეატრალური ხელოვნებისათვის ხელშეწყობი გარემოს შექმნა გულისხმობს ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე თეატრების არსებული მდგომარეობის შეფასებას და დახმარებას რეპერტუარის განახლებაში, თითოეული თეატრის მოთხოვნების, სტრუქტურის, შინაარსისა და მოცულობის გათვალისწინებით; ადგილობრივი თეატრების ხელშეწყობას სპექტაკლების დადგმის ხარჯის გაწვეთ და ტექნიკური აღჭურვილობით. საშემსრულებლო ხელოვნებისა და კულტურული ინოვაციების ტენდენციების წარმოდგენა თეატრალური წარმოდგენების სახით და ამ გზით საქართველოში საერთაშორისო კულტურული ცენტრის შექმნა ყველა თაობისა და ასაკის ადამიანებისათვის, ხელს შეუწყობს თბილისისა და საქართველოს კულტურული ცხოვრების განვითარებას, თანამედროვე თეატრალური ხელოვნებისა და კულტურის ყველაზე გამოწვევი, საინტერესო, საუკეთესო ნამუშევრებით და ამ სახით თბილისისა და საქართველოს მოსახლეობის კულტურული და კომუნიკური კეთილდღეობის განვითარებას, თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტაქსის მოპოვებას და მის მიმართ დაინტერესების ზრდას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ადგილობრივი მნიშვნელობის თეატრების (სახემტელო დრამატული თეატრი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი, თეატრი „გლობუსი“, სამეფო უბნის თეატრი) სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, რეპერტუარის განახლების, სადადგმო, საგასტროლო და ტექნიკური აღჭურვილობის ხარჯების დაფარვა; თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის, მუნიციპალური თეატრების სარეკომენდაციო საბჭოს ხელშეწყობა; ინკლუზიური თეატრების საერთაშორისო თეატრალური თეატრებისთვის; ინკლუზიური თეატრალური დასის შექმნებით და შეგოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა.</p>
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობი გარემოს შექმნა; თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება; შირი-შირიობითი და აკადემიური ორთიორიობის დამყარება საზოგადოების თოარალორ მოთაწიობთან.</p>
<p>საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>	<p>სპექტაკლების და ჩატარებული ფესტივლების რაოდენობა.</p>

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (8.2)

პროგრამის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური;
ქობილის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური

სახელოვნებო განათლების არამთხოვნადი სპეციალობების (ქართული ხალხური საუნდი და მუსიკალური საკრავები - სასულე და სიმფონიური ორკესტრების - ვიოლინო, ვიოლიჩელი, ჩელი, კონტრაბასი, არფა, ფლაუტა, კლარნეტი, ვალტონა, საქსოფონი, საყვირი, დასარტყამი ინსტრუმენტები, ტრამპონი და სხვა) შენარჩუნების მიზნით; ოთარ თაქაიამვილის სახელობის #19 ხელოვნების სკოლაში - საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით მოსწავლეთა უფასო სწავლება; შოთა შანიძის სახელობის #20 ხელოვნების სკოლაში - საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით მოსწავლეთა უფასო სწავლება; ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის #28 ხელოვნების სკოლაში - ქართული ხალხური საუნდი ხელოვნების განყოფილებაზე მოსწავლეთა უფასო სწავლება; ჰამლეტ გონაშვილის სახელობის #29 ხელოვნების სკოლაში - თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობის განხორციელება უფასო სწავლება; თბილისის ხელოვნების სკოლების და მისწავლე ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება სასწავლო-შემოქმედებით პროექტში მალაი აკადემიური მოსწავლის მქონე მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეთა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით); სახელოვნებო სკოლებში ინტელუიური სწავლების დაფინანსება; თბილისის ხელოვნების სკოლებში მალაი აკადემიური მოსწავლის მქონე მოსწავლეთა დაფინანსება; სახელოვნებო სკოლებში ინტელუიური სწავლების დაფინანსება; ხელოვნების სკოლებისათვის და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისათვის ფესტივალების, საქალაქო კონკურსების, საანგარიშო და საიუმბილო კონცერტებისათვის დარბაზით მომსახურება;

ტრენინგები, ვორკშოპები, სემინარები ხელოვნების სკოლებისათვის და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისათვის (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლენები); საიუმბილო ღონისძიებების პოლიგრაფიული მომსახურება (ბუკლეტები, ბროშურები და სხვა საინფორმაციო); სასწავლო-საგანმანათლებლო მასალების მომზადება-გამოცემა (სასწავლო გეგმები, პროგრამები, სასწავლო სახელმძღვანელოები) და სხვა.

სახელოვნებო განათლების არამთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება; მოსწავლეთა და პედაგოგთა კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლება; საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალურ და სხვა ფორუმებში მიღწეული წარმატებები.

საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

სახელოვნებო განათლების სპეციალობებით დაინტერესებულ მოსწავლეთა რაოდენობა; სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული კონკურსების, ფესტივალურების, საანგარიშო კონკურსების რაოდენობა; გადაზრდადულ პედაგოგთა, მოსწავლეთა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა.

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია 8.3

პროგრამის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური;
ქობილის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური

ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების (ი.ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, ზ.ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი, ნ.ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი, მ.ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმი, გ.ტაბიძის სახლ-მუზეუმი, გ.ჭაბუკიანის ბინა-მუზეუმი, მ.კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი, ს.წერეთლის სახლ-მუზეუმი, ქობილის თეატრების მუზეუმი; ე.ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეა) მოვლა-პატრონობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმებზე არსებული ინფორმაციის შესება, განახლება და სისტემატიზაცია, სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკის, სამუზეუმო ფონდების ხელახლების, მართვის გაუმჯობესების, საერთაშორისო ინსტიტუციებთან თანამშრომლობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, საგანმანათლებლო ფუნქციის გააქტიურების ხელშეწყობი ღონისძიებები;

მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გამოყენებით; მოსახლეობის ფართო მასების ინტერესების გათვალისწინებით ახალი პროგრამების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმებში მიმდინარე მოვლენებით დაინტერესების კულტურის დამკვიდრებას და დამთავალიერებლთა რაოდენობის ზრდას.

მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში; მუზეუმებში, კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიზიდავითი გარემოს შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა - ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, ზამკვლავები

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები
 მუხურებში ვიზიტორთა რაოდენობა;
 მუხურებში მოწოდებული გამოფენების და წარმოდგენილი ექსპოზიციების რაოდენობა.

ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება 8.4

<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ქაბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით საკონცერტო ორკესტრის "ზოგ-ბენდი" ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით. ორკესტრი ხელს უწყობს ნიჭიერი ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა გამოვლენასა და მათ აქტიურ ჩაბმას საკონცერტო საქმიანობაში; ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის ხელშეწყობა, ქართული ფოლკლორის დარგების შესწავლა და პოპულარიზაცია, ქართული ფოლკლორის ტრადიციების დაცვა და განვითარება კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით, მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება ფოლკლორული მუსიკით და მათი მიზმიდან გამომდინარე სახელოვნებო სივრცეში; თბილისის პანთეონების (მთაწმინდა, დიდუბე, ხოჯევანქი) მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია - მისი როგორც საქართველოს უახლესი ისტორიის ძეგლის წარმოჩინება და კულტურულ ტურიზმში ჩართვა; მუნიციპალური კულტურის დაწესებულებების (ხელოვნების სკოლები, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები, მუხურები, ბიბლიოთეკები, თეატრები) მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები. მათ შორის: შენობების მიმდინარე რემონტი, საფისე ინვენტარის, სასწავლო ტექნიკის შექმნა, მუსიკალური ინსტრუმენტების განახლება, ტექნიკური აღჭურვა, კომუნალური ხარჯების თანადაფინანსება და სხვა.</p>
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>ქართული ფოლკლორის და ხელოვნების დარგების პოპულარიზაცია; მოწესრიგებული და კეთილმოწყობილი პანთეონები; კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.</p>

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები
 ჩატარებული ღონისძიებების, ტურისტების და ხელოვნებით დაინტერესებულ პირთა რაოდენობა;
 თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებების რაოდენობა.

კულტურის ღონისძიებები 8.5

<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახური</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>პროგრამის მიზნები ემსახურება ჩვენი ქვეყნის ხელოვნების ღირსეულად წარმოდგენას, მათ ხელშეწყობას და მათი პროექტების მეშვეობით ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, დეაქტიუმიანი ხელოვნების სათანადოდ დაფასებასა და მათი შემოქმედებითი საღიმიანობის ორგანიზების, ახალგაზრდობისათვის კი მაქსიმალურ ჩართულობასა და სტიმულის მიცემას. საზღვრებს გარეთ დედაქალაქის სათანადო ინიციატივას, დამზობილებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნებას და გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, დედაქალაქის მსოფლიო კულტურულ რუკაზე ღირსეული ადგილის დამკვიდრებას, რაც სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალების მეშვეობითაა შესაძლებელი.</p> <p>სახელმწიფო სახალხო და რელიგიური საღიმიანო საღიმიანო ღონისძიებების აღიარება, ტრადიციების შენარჩუნების გათვალისწინებით და მოსახლეობისა და ტურისტებისათვის სსსიამოვნო და დაუვიწყარი გარემოს შექმნა, რაც დღესასწაულების ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებითაა შესაძლებელი;</p> <p>სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარება, როგორც: თეატრი, სახვითი ხელოვნება, სამუსიკო სფერო თუ ლიტერატურა, მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებში სხვადასხვა თაობის ხელოვნების ჩართულობა;</p> <p>თეატრალური პროექტების ფარგლებში სხვადასხვა თეატრებსა თუ დამოუკიდებელ რეჟისორებს, ეძლევათ შესაძლებლობა განახორციელონ ახალი თეატრალური დადგმები თბილისის სხვადასხვა თეატრების სცენებზე. ხელოვნების ინტერესი და მათი ჩართულობა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მიმართ, ყოველწლიურად იზრდება, რაც განაკირობებს სხვადასხვა ხელოვნების სფეროს წარმომადგენელთა შემოქმედების რეალიზებას საქართველოს დედაქალაქში;</p> <p>თბილისის კულტურის სფეროს კვლევა, ანალიზი და განვითარების სტრატეგიის შემუშავება. თბილისის ჩართვა რეგიონულ და საერთაშორისო ინიციატივებში. კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებით თბილისის განვითარების სტრატეგიის განხორციელება. გრძელვადიანი სტრატეგიის საფუძველზე დედაქალაქის კულტურული განვითარებისა და ხელმისაწვდომობის კომპლექსური პროგრამების ჩამოყალიბება.</p> <p>თბილისის ისტორიის კვლევის ხელშეწყობა. კულტურული ღირებულების ექსპორტისა და კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.</p> <p>საწესდრო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობის კოორდინაცია.</p>
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობა ფესტივალებში, კონკურსებში, სადღესასწაულო ღონისძიებებში; ღვაწლმოსილი ადამიანების დაფასება;</p> <p>ნიჟიერი შემოქმედების წარმოდგენა, შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა;</p> <p>საინტერესო და მრავალფეროვან ღონისძიებებზე მოსახლეობის და ხელოვნების ჩართულობა და მონაწილეობა;</p> <p>განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან;</p> <p>თბილისის, როგორც რეგიონის კულტურის ცენტრის ჩამოყალიბება და მსოფლიო დედაქალაქების რუკაზე მნიშვნელოვან სახელოვნებო ცენტრად დამკვიდრება.</p>
<p>საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>	<p>განხორციელებული ღონისძიებების, მათში მონაწილეობისა და დამსწრეთა რაოდენობა;</p> <p>თეატრალური პროექტების, ფესტივალების და საიუბილეო ღონისძიებების რაოდენობა;</p> <p>თბილისის შესახებ ცნობადობისა და ტურისტების რაოდენობის გაზრდა;</p> <p>ჩატარებული კვლევების, პროექტებისა და ღონისძიებების რაოდენობა.</p>

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 8.6

<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>თბილისში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება - პოპულარიზაცია, თბილისის ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები); სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნული და თბილისის ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დაინოვაციური ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა.</p>
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>ქვეყნის ნაკრები გუნდების შექმნა ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში; სპორტის სხვადასხვა სახეობების ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოცვლა, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა; მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ-მასწავლებლები და ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები.</p>
<p>საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>	<p>პროზიორთა რაოდენობა სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე; სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა; საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტების რაოდენობა.</p>

სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები 8.6.1

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია; სპორტის სხვადასხვა სახეობის საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მომზადება და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში, სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირებში) მონაწილეობის ხელშეწყობა; სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი სპორტული ღონისძიებების, თასის გათამაშებების, ქალაქის პირველობების და ჩემპიონატების, სახელობითი და საერთაშორისო ტურნირების ჩატარება და სპორტსმენთა მივლინება საერთაშორისო ტურნირებზე; თბილისის ნაკრები გუნდების საერთაშორისო და რესპუბლიკის ტურნირებში მონაწილეობა; 2015 წელს თბილისში დაგეგმილი ევროპის ახალგაზრდული ფესტივალისთვის მადლი კლასის სპორტსმენების მომზადება; დედაქალაქის ნაკრები გუნდებისთვის სასწავლო-გამაჯანსაღებელი შეჯიბრების მოწყობა; სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნული და თბილისის ფედერაციების მიერ დაფინანსებული სპორტული ცენტრების საქმიანობის ხელშეწყობა; წყალბურთის კლუბის „თბილისი“ და კალათბურთის კლუბის „დინამო“ ხელშეწყობა. პროგრამა ასევე მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობისკენ და ითვალისწინებს მათ მიერ ჩატარებული ღონისძიებების მხარდაჭერას და წახალისებას, ტრენინგ-პროგრამების შემუშავებას, ახალგაზრდების მონაწილეობას სხვადასხვა კონფერენციებში, ფორუმებში, სესიონში, კონკურსებში და სამუშაო ჯგუფებში; ახალგაზრდა შემოქმედითა წახალისების მიზნით გამოფენების, ლიტერატურული საღამოების, ფესტივალების, კონკურსების, კონკურსების მოწყობას; ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა პროექტების განხორციელებას კულტურის, სპორტის, მეცნიერება - განათლების, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში; კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობას, ქართული ახალგაზრდების ჩართვას სხვადასხვა აქტივობებში, ცხოვრების განსაზღვრულ, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავებას სხვადასხვა მიმართულებით; არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, ახალგაზრდებისთვის თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად გამოყენების ორგანიზებას;</p>
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოხატვა ახალგაზრდული ცხოვრების წესის დამკვიდრება; ახალგაზრდული ორგანიზაციების აქტივობების ჩართული ახალგაზრდები. კულტურულ-შემოქმედებით და საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდები.</p>
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>	<p>ჩატარებული საერთაშორისო და ადგილობრივი დონის ღონისძიებების რაოდენობა; საქართველოს ნაკრებში თბილისელ სპორტსმენტა რაოდენობა და მათ მიერ მოპოვებული ჯილდოების რაოდენობა ახალგაზრდული ცხოვრების წესის პროგრამაში ჩართული წარმატებული და ინიციატივიანი ახალგაზრდების რაოდენობა;</p>
<p>შეერთებული მხარდაჭერა 8.6.2</p>	<p>ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ზეგმეთა ჯგუფებთან მიმართული მომსახურება-მასწავლებელთა მატერიალური წახალისება ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, გაზრდის მათ დანიტრისკებას სასწავლო-საწვინო პროცესის ჩატარების მიზნით და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სამეცნიერო პროგრამებში, რაც ხელს შეუწყობს დედაქალაქის სპორტის სხვადასხვა სახეობებში შეერთებულ-მასწავლებლების მიერ პერსპექტიული მოზარდებისა და ახალგაზრდების მოძიებას, მათ ჩაბმას სპორტულ ჯგუფებში და მაღალი შედეგების მიღწევას.</p>
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული ზეგმეთა ჯგუფებთან მიმართული მომსახურება-მასწავლებლები, ნიჭიერ სპორტსმენტა გამოვლენა და მსოფლიო დონის სპორტსმენტა აღზრდა, რაც საერთაშორისო მაშტაბით სახელს გაუთავსებს საქართველოს.</p>
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>	<p>ფინანსურად უზრუნველყოფილი და სტიმულირებული შეერთებულ-მასწავლებელთა რაოდენობა.</p>

სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია 8.6.3	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქობილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; ქობილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი თბილისის ყველა უბანსა და ეზოში ხელს შეუწყობს მოსახლეობის ფართო მასებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სპორტის პოპულარიზაციას. ქალაქში უკვე ფუნქციონირებს 600-მდე სპორტული მოედანი. 2014 წელს რეაბილიტაცია უნდა ჩატარდეს 100-მდე არსებულ მარტივი ტიპის ხელოვნურსაფარიან მრავალფუნქციურ სპორტულ მოედანს, რაც შესაძლებლობას მისცემს დედაქალაქის მოსახლეობას აქტიურად ჩაებას სპორტში და იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრების წესით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება
მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	შერეული, ღია სპორტული მოედნების რაოდენობა; მოედნებით მოსარგებლე მოსახლეობის რაოდენობა.

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა 8.6.4	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქობილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; ქობილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სპანელო-საწვინელი პროცესის წარმართვისთვის ხელის შეწყობას, ამდღეულ სპორტული ობიექტების კონკურენტუნარიანობას, რაც შესაბამისად დადებითად წაადგება სპორტის პოპულარიზაციას და განვითარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება თბილისის მთავრობის მიერ დაფინანსებული სპორტული ცენტრებისა და დედაქალაქში არსებული საზოგადოებრივი მოხმარების ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რეაბილიტაცია, სპორტულ-სახარჯთაღრიცხვი დოკუმენტაციის მოწოდება, ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვა და მოწყობის სხვა ღონისძიებები.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა
მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორები	საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტების რაოდენობა; სპორტული ობიექტით მოსარგებლე პირთა რაოდენობა; მატარებული ღონისძიებების რაოდენობა.

წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება 8.6.5	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტის სხვადასხვა სახეობების, 18 წლამდე ასაკის, პერსპექტიული სპორტსმენების მატერიალური წახალისება ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, გაზრდის მათ დაინტერესებას სასწავლო-საწვრთნო პროცესის ჩატარების მიზნით და გააქტიურებს მათ სპორტში მონაწილეობის საჭიროებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს პირველობებში, ჩემპიონატებში, თასების გათამაშებებში და საერთაშორისო ტურნირებში მაღალი შედეგების მიღებას, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, გაზრდის პროფესიონალური სპორტის პოპულარიზაციას, სწორად წარმართავს ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის გამოყენებას.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	წახალისებული ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები; სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები.
მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორები	სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა, მათ მიერ მიღწეული სპორტული წარმატებების რაოდენობა.
პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა 8.6.6	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია: სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციოლოგიისა და აქტიური სპორტში ჩართვისთვის; პარასპორტული წრეების ჩამოყალიბება, სახეობების მიხედვით, მათი პრივილეგიების გათვალისწინებით; კვალიფიციური მწვრთნელ-მასწავლებლების და მენტორების მოზიდვა კონკურენტუნარიანი სპორტსმენების აღსაზრდელად; პარასპორტული სახეობების პოპულარიზაცია მთელს საზოგადოებაში; ამ ეტაპზე ხორციელდება ინტენსიური საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი პარაფარაკობასა და პარამშველდობის მიზნით. ცენტრის მიზანია კიდევ სხვა პარასპორტული სახეობების განვითარება და შესაბამისად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოზიდვა მათი რესოციოლოგიის მიზნით.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	არანაკლებ 3 სპორტულ სახეობაში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი; სხვადასხვა პარასპორტულ საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორები	არანაკლებ 20 პარასპორტსმენის ჩართვა რესოციოლოგიის პროცესში.
კალათბურთის ხელშეწყობის დონისძიებები 8.6.7	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური;
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური კალათბურთის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საჭირო პირობების შექმნა.
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კალათბურთული მომზადების დონის ამაღლება
მოსალოდნელი შუალედური შედეგის ინდიკატორები	შეჯიბრებებში გუნდების მონაწილეობის რაოდენობა

ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის განვითარება 8.6.8

<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური</p>
<p>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქვეპროგრამის მიზანია თბილისის მერიის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის განვითარების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. "UEFA"-ს სუპერ თასის ფინალური თამაშის მასპინძლობისთვის შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინება მათ შორის: ბილეთების ელექტრონული სისტემისა და მასთან დაკავშირებული ტექნიკის მონტაჟი, რომელიც სტადიონზე დამსწრე გულშემატკივართა ორგანიზებულად მოძრაობისა და უსაფრთხოების, ასევე ბილეთების გაყიდვების განხორციელებას ითვალისწინებს.</p>
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>სტადიონზე მისული ქართველი და უცხოელი გულშემატკივრების უსაფრთხოება. მაქსიმალურად კომფორტული გარემო.</p>
<p>მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>	<p>მაყურებელთა რაოდენობა. უსაფრთხო ჩატარებული მატჩების და სხვა სპორტული ღონისძიებების რაოდენობა</p>

„თბილისი - 2015“ ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებები 8.7

<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახური; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური</p>
<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>„თბილისი - 2015“ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალთან დაკავშირებით, თბილისში გრძელდება სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც ახალი სპორტული დარბაზების მშენებლობას, არსებული სპორტული ცენტრების რეაბილიტაციას და მათ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას გულისხმობს. ფესტივალის ფარგლებში შეჯიბრებები სპორტის 9 სახეობაში - კალათბურთში, ხელბურთში, ფრენბურთში, ძიუდოში, მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, ველოსპორტში გაიმართება და მონაწილეობას მიიღებს 49 ქვეყანა;</p> <p>თბილისი – 2015 ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერა, მათ შორის: ოლიმპიური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, სპორტული ინვენტარის შეძენა, ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობის ხელშეწყობა და სხვა.</p>
<p>მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მაღალ დონეზე ორგანიზება.</p>

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები
 ოლიმპიური ინფრასტრუქტურის ობიექტების რაოდენობა.

9. პრიორიტეტი - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
9.1	საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვა	22 793,3	3 000,0	3 000,0	3 000,0
	სულ პრიორიტეტის დაფინანსება	22 793,3	3 000,0	3 000,0	3 000,0

საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვა 9.1	
პროგრამის განმახორციელებელი	ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო
პროგრამის აღწერა და მიზანი	ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად ადგილზე დროული მისვლა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა; საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება; მოსახლეობის დაცვა მაწანწალა-უზედამხედველო ცხოველებისა (მალი, კატა) და ქვეწარმავლებისაგან;
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ლიკვირებული საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების რაოდენობა; სტიქიური მოვლენებისა და საგანგებო სიტუაციებისგან დაცული მოსახლეობა და ქონება მაწანწალა უზედამხედველო ცხოველებისა და ქვეწარმავლებისაგან დაცული მოსახლეობა.

ქ. თბილისის 2014-2017 წლების კაპიტალური ბიუჯეტი

ფუნდის სახელი	დასახელება	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
1.1	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შენახვა	35 088,8	30 000,0	30 500,0	31 200,0
1.2	ტრანსპორტის განვითარება	12 618,6	33 205,5	43 398,0	51 869,0
2.1	საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია	13 021,3	19 000,0	19 500,0	20 000,0
2.2	ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება	13 365,4	47 000,0	48 000,0	49 000,0
2.4	ძველი თბილისის ახალი სივრცული	800,0	0,0	0,0	0,0
2.5	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	700,0	700,0	800,0	1 000,0
2.8	მიწისქვეშა გადასასვლელების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაციის ღონისძიებები	660,0	1 500,0	1 500,0	1 500,0
2.9	კეთილმოწყობის ღონისძიებები	3 730,0	3 250,0	3 750,0	4 300,0
2.10	ქალაქის განვითარების ხელშეწყობა	35 250,0	30 000,0	30 000,0	30 000,0
3.1	გაშენების ღონისძიებები	4 450,9	6 857,0	7 000,0	8 000,0
3.2	დასუფთავების ღონისძიებები	2 000,0	0,0	0,0	0,0
5.1	ბინათმშენებლობის ახსნაგანგებობის განვითარების ხელშეწყობა	20 000,0	15 001,0	15 002,0	15 003,0
6.2.20	წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში	11 000,0	9 000,0	9 100,0	9 100,0

დარღვევის კატეგორია	დასახელება	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი	2017 წელი
7.1	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა	12 921,0	14 200,0	14 700,0	15 200,0
8.6	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	7 000,0	4 000,0	4 000,0	4 000,0
8.7	„თბილისი - 2015“ ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებები	23 800,0	17 000,0	0,0	0,0
9.1	საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვა	725,5	750,0	800,0	900,0
	სულ	197 131,5	231 463,5	228 050,0	241 072,0

ქ.თბილისის 2014 წლის ბიუჯეტში "სხვა ხარჯების" მუხლით დაფინანსებული ღონისძიებები

კოდი	ორგანიზაციის/პროგრამის დასახელება	სხვა ხარჯები	თანხის მიზნობრიობა
	სულ სხვა ხარჯები	119 442,1	
1	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა		
	სხვა ხარჯები	3 610,5	
1.2	ტრანსპორტის განვითარება		
	სხვა ხარჯები	3 610,5	
1.2.3	მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა		მეტროპოლიტენის ახალი სადისპეტჩერო სისტემის მოწყობა, ტექნიკური გადაიარაღება.
	სხვა ხარჯები	790,0	
1.2.5	სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია		სატრანსპორტო კომპანიის კაპიტალის ზრდა
	სხვა ხარჯები	2 820,5	
